პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის,
ს. ს. რ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-8 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.125.000 მან. განცხადება 10 კაპ. 15 კ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

Коллекция [illegible]

დღის ამბები

ქალ. გილზენკირხენში (რურის ოლქში) გამოცხადდა საბჭოთა მთავრობა.

ინგლისის მუშები მოითხოვენ საჩქაროდ კონფერენციის მოწვევას და საბჭოთა რუსეთთან კავშირის განმტკიცებას.

საბერძნეთის შეიარაღების გამო, ლოზანაში დარწმუნებული არიან, რომ დაიწყება ომი ოსმალეთს და საბერძნეთს შორის.

მოელიან ლოზანას კონფერენციის დახურვას, რადგან სხდომების პირობები გართულებულია.

პორტუგალიაში გაფიცვები ფართე ხასიათს ღებულობს.

№ 119 კვირა 27 მაისი, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000 მან. № 119

საბჭოთა დროშა რურში

უდიდესი მნიშვნელობის ამბები ხდება ამ ჟამად რურის ოლქში. აქ იფეთქა მუშათა აჯანყებამ, რომლის ტალღა მოედვა მთელ რიგ რაიონებს. ბევრ ალაგას გამოცხადებულია გაფიცვები და წარმოებებში მუშაობა შეჩერებულია. ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებებს მუშებსა და პოლიციელებ შორის. **გელზენკირხენში შესდგა მუშათა დეპუტატების საბჭო, რომლის ხელში გადავიდა ქალაქის მმართველობა.** ამგვარად, **გილზენკირხენში დამყარდა საბჭოთა ძალაუფლება.** მოძრაობა თანდათან ფართოვდება. რურის პროლეტარიატი და მთელი მშრომელი მასსა ემზადება, რათა მთელ ოლქში გამოაცხადოს თავისი ბატონობა,ააფრიალოს საბჭოთა ხელისუფლების დროშა. უშუალო მიზეზი რურის პროლეტარიატის აჯანყების არის საშინელი სიძვირე, რომელმაც ამ ბოლო ხანებში უმაღლეს წერტილს მიაღწია.

მსოფლიო ომმა და ვერსალის „ზავმა" გააძვალტყავა გერმანიის ხალხი. ქვეყნის ეკონომიკა მოიშალა, მარკის კურსი საარაკოდ დაეცა.

რურის ოკუპაციამ კი დაამთავრა სურათი. ძირეულად დაანგრია მთელი ცხოვრება, გერმანიის მშრომელი ხალხი, კერძოდ რურის მუშათა კლასი და დემოკრატიული წრეები აუწერელ სიღატაკეში ჩააგდო. მშრომელი მასსა პირდაპირ დადგა სიმშილით ამოწყვეტის, ფიზიკურად გადაშენების წინაშე.

თავის თავად ცხადია, ხალხის ასეთი გაჭირვებაზე ყოველთვის ითბობენ ხელს მქონებელი ჯგუფები, ვაჭრები, სპეკულიანტები. მათ უფრო გაეხსნათ მხეცური მადა და ამ საყოველთაო კრიზისის დროს, ფართედ მოსახმარ საგნების საზღაპრო გაძვირებით, მუშების ისედაც აუტანელი მდგომარეობა უაღრესად გაამწვავეს.

მუშათა კლასისათვის ცხადია, რომ ვერსალის ხელშეკრულების და რურის ოკუპაციის მთელი სიმძიმე მას აწევს ზურგზე და არა ბურჟუაზიას. გერმანიის ბურჟუაზია სწორედ მის ხარჯზე ლამობს ფარულად შეუთანხმდეს საფრანგეთის კაპიტალისტებს, რათა მათთან ერთად მასაც საშუალება ჰქონდეს თავის მუშათა კლასის გაძლიერებული ექსპლოატაციის.

მაგრამ გერმანიის პროლეტარიატის მოთმინების ფიალა ივსება, და ის ემზადება გადამჭრელი ბრძოლისათვის, რათა დაამხოს როგორც უცხოელი ოკუპანტები, ისე საკუთარი ექსპლოატატორები. ამის ნიშნები უკვე სჩანს. რურის ეხლანდელი ამბები, საბჭოთა ხელისუფლება გილზენკირხენში ამის პირველი „მერცხალია".

დანამდვილებით შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება დაწყებული მოძრაობა.

გერმანიაში ეს პირველი მაგალითი არ არის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ცდის. გერმანიის რევოლიუციის შემდეგ მუშათა დეპუტატების საბჭოები საყოველთაო მოვლენა იყო. მაგრამ სოციალ-შეთანხმებლებმა ისინი გასცეს ბურჟუაზიული წყობილების სასარგებლოდ. შემდეგ ყველამ ვიცით ბავარიის საბჭოთა რესპუბლიკის ბედი. დღესაც შეეცდებიან საოკუპაციო ჯარები და გერმანიის მთავრობა რურის საბჭოთა ხელისუფლების სისხლში ჩახრჩობას.

მაგრამ ერთი რამ ცხადია, სახელდობრ: გერმანიის რევოლიუციონურ მუშათა კლასს შეგნებული აქვს, რომ მისი და ქვეყნის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაშია და დღევანდელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რეჟიმის დასამარებაში. ეს შეგნებაც აქვთ არა მარტო კომუნისტებს, ამას იგნებენ დღემდე ოპორტიუნისტულ პარტიების მიმდევარი მუშებიც. ამას მოწმობს რურის ეხლანდელი აჯანყებაც, რომელსაც მეთაურობენ კომუნისტები. ჩვენი ამხანაგები ცდილობენ მისცენ მოძრაობას ორგანიზაციული ხასიათი, და მათ მისდევს მთელი მშრომელი მასსა

რანაირადაც არ უნდა დასრულდეს რურის პროლეტარიატის დღევანდელი აჯანყება, ის ერთი ეპიზოდია, ერთი საფეხური მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობისა საბოლოო გამარჯვებისაკენ, რომელიც მიღწეული იქნება მხოლოდ მთელი გერმანიის და [illegible] პროლეტარიატის აქტიური ჩარევით.

პროლეტარიატის დიქტატურა და ჩვენი სასოფლო მეურნეობა

იყო დრო როდესაც ჩვენ, კომუნისტებს, ცილს გვწამებდენ და გლეხობის მტრებათ გვნათლავდენ. ცდილობდენ შურის და მტრობის ჩამოგდებას პროლეტარიატსა და გლეხობას შორის და მით ლამობდენ ერთიანი რევოლიუციონური ფრონტის გატეხას. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. პირიქით, ერთიანი რევოლიუციონური ფრონტი კიდევ უფრო მეტად მტკიცდებოდა. შედეგათ ჩვენ მივიღეთ კლასების დიქტატურის დამხობა და გაყვლეფილ მშრომელ მასების მიერ სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობა. ამიერიდან კიდევ უფრო მეტი საჭირო გახდა ამ ერთიანი ფრონტის გამაგრება და სამეურნეო, აღმშენებლობითი მუშაობაშიაც დიდი ენერგიისა და უნარის გამოჩენა.

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, ე. ი. გარდამავალ ხანაში კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ. კაპიტალიზმი კი არსებობს არა მარტო ქალაქში, არამედ სოფელშიაც. კაპიტალისტურია არა მარტო ქალაქის მეურნეობა, არამედ სასოფლოც. რომელ მეურნეობას უფრო ყურადღება უნდა მიექცეს პროლეტარიატის დიქტატურის დროს ეკონომიურ აღმშენებლობითი მუშაობაში, ქალაქისას თუ სასოფლოსას? ეს დამოკიდებულია იმ ქვეყნის ეკონომიურ ვითარებაზე, სადაც განხორციელებულია პროლეტარიატის დიქტატურა. თუ სასოფლო მეურნეობა სჭარბობს ქალაქისას, მაშინ, ცხადია, მეტი ყურადღებაც სწორეთ ამ მეურნეობას უნდა მიექცეს; თუ სჭარბობს ქალაქის, მაშინ—ქალაქისას.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა ჩვენში, საქართველოში? არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას, რომ ჩვენი ქვეყანა გლეხური ქვეყანაა. ეს კი მაჩვენებელია იმისი, რომ აქ უეჭველათ მთავარია სწორეთ სასოფლო-მეურნეობა. მაშასადამე ჩვენი მთავარი ეკონომიური ყურადღებაც ამ სასოფლო-მეურნეობისაკენ უნდა იქნეს მიქცეული, მის აღდგენა განვითარებას უნდა ცდილობდეს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება.

როგორია პროლეტარიატის დამოკიდებულება ამ ჩვენ სასოფლო მეურნეობასთან? რა ღონისძიებებს მიმართავს ის მის აღდგენა განვითარებისათვის?

უპირველესად ყოვლისა საჭიროა სასოფლო მეურნეობისთვის მიწა, რომელზედაც აგებულია ის. მაშასადამე თავდაპირველათ უნდა გადაიჭრას საკითხი სასოფლო მეურნეობის სწორეთ ამ მთავარი საწარმოვო საშუალების შესახებ, ე. ი. მიწის მფლობელობისა და სარგებლობის შესახებ. თუ ეს უკანასკნელი გადაუჭრელია, თუ ის არაა ჩამოყალიბებული და [illegible] წესრიგში მოყვანილი საერთო სამეურნეო გეგმის ჯაჭვში, მაშინ ლაპარაკიც კი მეტია სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე. მიწის საკითხის კომუნისტურათ გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პოლიტიკურის მხრივ, არამედ კიდევ უფრო მეტად ეკონომიურის მხრივ, ამიტომ ამ კითხვის გადაჭრის დროს მიღებულ უნდა იქნეს სახეში ის, რომ მეურნეობა არ დაეცეს და შეფერხდეს, პირიქით, რომ მის განვითარებას ხელი შევუწყოთ.

ამ მხრივ ჩვენში შეიძლება ითქვას, რომ მიწის საკითხი შედარებით უკვე გადაჭრილია. მასთან თვით საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დღიდანვე დიდი მუშაობა დაიწყო სწორეთ ამ მეურნეობის აღსადგენათ და განსავითარებლათ.

პირველი ნაბიჯი გადადგმული იყო მოსარწყავ არხების გასაყვანათ, რათა შეძლებელი გამხდარიყო გვალვებთან ბრძოლა. თითქმის მთელი წელიწადი შარშან სწარმოებდა დიდი მუშაობა ამ სარწყავს არხების გარშემო, რაშიაც დიდი აღფრთოვანება და უნარი გამოიჩინეს ჩვენმა გლეხებმა. იყო შემთხვევები, როდესაც თვითონ ისინი ძრავდენ შუამდგომლობას ჩვენი მთავრობის წინაშე დაეწყოთ ამა თუ იმ სოფელში ანუ თემში არხის გაყვანა და პირდებოდენ ყოველგვარ დახმარებას, სადაც კი შეეძლოთ მათ. და დიდი შედეგებიც იქნა მიღწეული ამ დარგში.

მაგრამ, საუბედუროთ, დღეს ასეთ მუშაობაზე არა ისმის რა. და არა თუ შემდეგ მუშაობაზე, არამედ არც ის ვიცით თუ რა მდგომარეობაში, წინათ დაწყებული მუშაობა, რა ბედი ეწვია მას. ეს პირდაპირ შეუწყნარებელია. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, ვისი უმთავრესი საქმეცაა ეს, უნდა შეუდგეს ამ მუშაობის გაგრძელებას და დაანახოს მთელ მშრომელ მასას, რომ ჩვენ შეგვიძლიან დიდი დაწყებული საქმის ღირსეულათ დაბოლოვება.

ასეთია მდგომარეობა არა მარტო ამ არხების გარშემო, არამედ იგივე ითქმის სხვა სამეურნეო ღონისძიებათა შესახებაც, რომლების მთავარი მიზანია ჩვენი სასოფლო მეურნეობის განვითარება.

საჭიროა, გარდა ზემოხსენებული ზომებისა, ჩვენი გლეხების წახალისება. დაარსონ საამხანაგო მსხვილი, სამეურნეო ერთეულები, სადაც მუშაობა არის არა ძველი ძამაპაპური სამეურნეო იარაღებით, არამედ დღევანდელი წინ წაწეული ტეხნიკით. საჭიროა გლეხებმა ნათლად დაინახონ უპირატესობა მსხვილი მეურნეობისა წვრილთან შედარებით და გადავიდენ ნებაყოფლობით წვრილ წმინდა გლეხურ სასოფლო-მეურნეობიდან მსხვილზე.

მაგრამ ჯერჯერობით ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული ამ საქმეს. ეს კი პირდაპირ შეუწყნარებელია და მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ჩვენი.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა მივაქციოთ უდიდესი ყურადღება სასოფლო მეურნეობას და დაუღალავი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ ამ უკანასკნელის განსავითარებლათ და ისეთ ნიადაგზე მოსაწყობათ, როგორც თხოულობს პროლეტარიატის დიქტატურა.

ქ. კომუნაძე.

საკურორტო სეზონის გახსნის წინ

იმ დროს, როდესაც საბჭოთა ფედერაციის კურორტებში ჩქარის ტემპით ემზადებიან მომავალ სეზონისათვის, საკურორტო აღმშენებლობის საქმე ამ უკანასკნელ ხანში ჩვენში ბრკოლდება სხვადასხვა მოულოდნელ გარემოების გამო. მიუხედავათ ამისა, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ მუშაობა მათი აღორძინებისათვის გრძელდება, თუმცა ამ მუშაობის მეტი ნაწილი კიდევ წინ გვიძევს და სრულიად დამოკიდებულია აუცილებელ საშუალებების დროით აღმოჩენაზე.

ყველას, ვისაც შეგნებული აქვს კურორტების მნიშვნელობა, უნდა ახსოვდეს, რომ ძვირფასი დრო, რომელიც საჭიროა აღმშენებლობისათვის, არ უნდა იქნეს ტყუილად დაკარგული, რადგანაც ეს დიდს გავლენას იქონიებს უწინარეს ყოვლისა მუშათა მასის ჯანმრთელობაზე. მხოლოდ შეგნებულს მოპყრობას ასეთს მნიშვნელოვანს ამოცანისადმი შეუძლია იხსნას კურორტები.

საბჭოთა საქართველოს, მდიდარს ბუნებით, დაუშრეტელი მინერალური წყლებით და სამთო-კლიმატიური სადგურების რაოდენობით, შეეძლო ყოფილიყო მრავალ ათას მშრომელთა შერყეული ჯანმრთელობის აღმადგენელ წყაროთ; რამდენ მშრომელს, სრულიად განადგურებული ჯანმრთელობის პატრონს, სჭირდება ასეთი საშვალება და რამდენად უმნიშვნელო რიცხვს შეუძლია დღეს იქონიოს იმედი, რომ განიკურნება მძიმე სენისაგან!

დღეს-დღეობით საბჭოთა საქართველოს სახელმწიფო კურორტებზე მუშაობა შემცირებულია. 650 საწოლის მაგივრად ამ სეზონში გამართული იქნება მხოლოდ 350, დანარჩენი გეგმის განხორციელება კი დამოკიდებულია თვით საწოლების შემოსავალზე. მართალია, ბევრი მშრომელი მოხვდება შეიძლება არა სანიტარულ ტიპის (პროფკავშირთა საბჭოს) დასასვენებელ სახლებში. მაგრამ იქაც მზრუნველობა არ დააკლდება მათ ნორმალურ საზრდოობისა და მოხერხებულ ცხოვრების შექმნის მხრივ

დასასვენებელ სახლებისა და ნაწილობრივ სანატორიუმების უმთავრესი ნაკლი იქნება ის, რომ სანატორიულ რეჟიმის დამყარება ჩვენი სინამდვილის პირობებში მეტად ძნელია, რადგანაც ბევრი ამხანაგი შეჩვეულია უყუროს მას ისე, როგორც თვითონ ესმის ეს წესები, მაშინ, როდესაც ყველასათვის ცნობილია ამ გაგების საზღვრები. საკურორტო მმართველობის მიზანი მომავალ სეზონში არის გაატაროს მტკიცე სანატორიული რეფორმა და საქმე ისე დააყენოს, რომ ავადმყოფები არ გაჩერდენ არც სამედიცინო და არც სამეურნეო საქმეში.

ავადმყოფებს სამაგალითოდ შეიძლება ქონდეთ გერმანული კურორტი, სადაც მხოლოდ დისციპლინის და რეჟიმის დაცვა იზიდავს საზოგადოებას და იცავს მათ ჯანმრთელობას.

მომავალი სეზონი მალე იწყება, და ბევრი ავადმყოფი ამხანაგი უკვე ხსნას ეძებს, მაგრამ სეზონის გახსნა 21 ივლისამდე, როგორც სჩანს, არაა მოსალოდნელი, ამიტომ საჭიროა გამოვიყენოთ ყოველი შესაძლებლობა სასეზონო საკითხის, რაც შეიძლება ჩქარა გადასაწყვეტად.

ყოველივე დაგვიანება, ვისი მხრიდანაც არ უნდა იყოს—ჩაითვლება დაუშვებელ და გამოუსწორებელ შეცდომათ, ჩვენი ენერგიული მოწოდება მდგომარეობს იმაში, რომ შარშანდელი წლის მზგავსათ არ იქნეს შექმნილი არანორმალური პირობები საკურორტო მუშაობისათვის. ვიმეორებ, გადამწყვეტი ბრძოლა საქმის გადადებასთან, სადაც და რაშიაც არ უნდა გამოიხატებოდეს, სახეში უნდა ჰქონდეს ყოველ შეგნებულს მოქალაქეს, და საკურორტო მმართველობაც პირველ ადგილს უთმობს მას თავის მუშაობაში. თუ ახლა მოსამზადებელი მუშაობა სწარმოებს ბორჯომ-აბასთუმნის რაიონის კურორტებზე, არ უნდა დავივიწყოთ მთელი რიგი სხვა კურორტებისა საბჭოთა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც წელს, სამწუხაროდ, მუშაობა სრულიად არ წარმოებულა და საეჭვოა, რომ რამის გაკეთება მოხერხდეს მიმდინარე სეზონში.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მათაც, რადგან ყოველი სიმდიდრე, რომელიც იქ დარჩა—ინგრევა და იღუპება, ქრება კულტურული დოვლათი და დაუშრეტელი მინერალური სიმდიდრე შეიძლება დაიღუპოს სამუდამოთ

ასეთი კურორტების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სახალხო კურორტი წყალტუბო, ქუთაისის მაზრაში, უმდიდრესი თავისი რადიო-აქტიური წყლით, რომელიც იზიდავს ყოველ სეზონში რამდენიმე ათას ღარიბ გლეხკაცობას. მინიმალურ დახმარებასაც კი, მაგ. ისეთს, როგორიცაა შექმნა იქ ნორმალურ სანატორიულ პირობების, ხელის შეწყობა კაპტაჟისა და შეკეთება საბანო შენობების შეეძლო წელს გადაერჩინა ეს კურორტი განადგურებისაგან და მიეცა ღარიბ გლეხკაცობისათვის საშუალება ესარგებლებია მით.

მეორე სახალხო კურორტს, ბახმაროს, კლიმატიური სადგურების მარგალიტს, ბედათ ხვდა დარჩეს წელს თავის წინა ისტორიულ მდგომარეობაში, რადგანაც მისკენ მიიმართება ისევ ძველი ბილიკები, სადაც მხოლოდ ტურისტებს შეუძლია ასვლა და ისიც კარგს ამინდებში.

დაბოლოს, კიდევ რამოდენიმე სიტყვას ვიტყვით ერთს, დაღუპვის კარამდი მისულს კურორტზე, რომელიც ერთს დროს ყვაოდა და იზიდავდა მრავალ საზოგადოებას თავის იშვიათის ზღვის პლიაჟით—ეს არის ქობულეთი აჭარისტანში.

როდესაც საკურორტო კომისიამ დაათვალიერა ეს კურორტი და მიი[illegible] დაქცეული და მიტოვებული. არ არის არც ერთი შენობა, რომელსაც კაპიტალური რემონტი არ სჭირდებოდეს; არ არის არც ერთი ნაჭერი მიწის, სადაც სადეკორაციო მცენარეებს ბარბაროსულად არ ანადგურებდენ და საუკეთესო პარკები გადაჭრილი არ იყოს სიმინდის ყანებად, რაც ავრცელებს მალარიას უმისოდაც დაზიანებულს რაიონში. აქ საჭიროა დიდი სახსარი, რადგანაც მისი გამოკეთება შეუძლებელია მარტო მცირე მუშაობით.

საკურორტო მმართველობის ძირითადი მიზანი მომავალ სეზონში არის იხსნას ეს კუთხე, მოაგონოს ყველას, რომ აუცილებელია საჩქარო დახმარება, რათა ჩვენი ქვეყნის სანაპიროების მარგალიტი საბოლოოდ არ დაიღუპოს.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ უნდა აღმოაჩინოს ყველა გზები და საშუალებები, რომ რაციონალურად იქნეს გამოყენებული ეს კურორტი, რომელსაც, სამართლიანად, მინიჭებული აქვს მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც იშვიათს პლიაჟს ჩვენ საბჭოთა ფედერაციაში.

როგორც ნათქვამიდანა სჩანს—მომავალ სეზონის გახსნის წინ საკურორტო მმართველობა ფიქრობს, რომ ნაყოფიერი მუშაობისათვის კურორტიების ასაღორძინებლად საჭიროა არა მარტო შეგნებული მოპყრობა მშრომელ მასის მხრივ, რაც განსაკუთრებით ესაჭიროება საკურორტო მმართველობას, არამედ რეალური საშუალებაც.

ი. ფრანგულიანცი.

P. S. როდესაც ეს წერილი იწერებოდა—საკითხი წყალტუბოს შესახებ ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი დადებითად. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭირო თანხა წყალტუბოს ასაღორძინებლად უკვე გადადებულია მთავრობისაგან საკურორტო მმართველობის განკარგულებაში. ასე რომ ამ კურორტს შეუძლია წელს მიიღოს მაქსიმალური რიცხვი ავადმყოფების.

ი. ფ.

რუსეთ-ინგლისის კონფლიქტი

„იზვესტიას" წერილი.

მოსკოვი. 24 მაისი. ამხ. სტეკლოვი ინგლისის ახალი პრემიერის შესახებ „იზვესტიაში აღნიშნავს, რომ ინგლის-რუსეთის კონფლიქტი სდგას საერთაშორისო ყურადღების ცენტრში. თვით 2 და 2 ნახ. ინტერნაციონალების ჰამბურგის კონგრესმაც, სწერს ამხ. სტეკლოვი, საჭიროდ სცნო გამოეტანა საპროტესტო რეზოლიუცია რუსეთ ინგლისის ურთიერთობის შეწყვეტის წინააღმდეგ. ინგლისის საზოგადოებრივი აზრის გავლენას კონსერვატიულ მთავრობაზე, ჯერ ჯერობით მოჰყვა შედეგად მხოლოდ ბრიტანეთის კაბინეტის თანხმობა რუსეთის მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებაზე. მიგვიყვანს თუ არა ეს მოლაპარაკება სასურველ ბოლომდე? ინგლისის პრესის ცნობაში ნათქვამია, რომ კრასინმა განაცხადა, რომ მას საეჭვოდ მიაჩნია ინგლის-რუსეთის კონფლიქტის სასურველად მოგვარება.

ჩვენ არ ვიცით, მართლა ასეთი განცხადება გააკეთა კრასინმა თუ არა მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ თუ ინგლისის ახალი მთავრობა სავსებით ძველ პოზიციაზე დარჩება, ეს გარემოება გამოიწვევს გაუკებრობას. როგორც ვიცით ბალდვინი ეკუთვნის ეგრედ წოდებულ „შეურიგებელთა" უკიდურეს კონსერვატიულ ფრაქციას. მაგრამ ბალდვინს, როგორც „საქმის კაცს", შეუძლია პრემიერობის დროს თავისი პირადი სიმპატიები დაუმორჩილოს კონსერვატიული თავდაცვის ინტერესებს.

საგულისხმოა ცნობა იმის შესახებ, რომ ბალდვინს განზრახული აქვს თავის წინანდელ თანამდებობაზე მოიწვიოს ხორნი, სწორედ ის, რომელმაც ხელი მოაწერა რუსეთთან დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებაზე.

თვით ხორნის კაბინეტში შეყვანის ფაქტი მოწმობს იმას, რომ **ახალი პრემიერი მზად არის ანგარიში გაუწიოს კონსერვატიული პარტიის უფრო ზომიერი ფრაქციის ხმას, რომელიც საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხში არ იზიარებს კერზონის აზრს** და არ არის მზად განხეთქილების გამოწვევას შეხვდეს ისეთი დამშვიდებული გულით, როგორც გარეშე საქმეთა მინისტრი.

რადიო-ტელეგრამები

საბჭოთა ხელისუფლება გილზენკირხენში.

ლონდონი 26 მაისი. „მანჩესტერ გარდიენის" კორესპონდენტი იუწყება, რომ გილზენკირხენში კომუნისტები ცდილობენ შეიტანონ ორგანიზაციულობა მუშათა მოძრაობაში, რამაც დამამშვიდებელი გავლენა მოახდინა მცხოვრებლებზე ღამით ქალაქს იცავდა წითელი რაზმები, არავითარ ექსცესებს ადგილი არ ქონია. დღეს მრავალმა მაღაზიამ განაახლა ვაჭრობა, ყველა ფაბრიკა-ქარხნებში მოხდა დელეგატების არჩევნები ქალაქის მმართველობის მოსაწყობათ, მაგარი სასმელების გაყიდვა აკრძალულია, აღსანიშნავია ის მოვლენა, რომ საშუალო კლასები მეგობრულათ თანამშრომლობენ მუშებთან. ქალაქის უფროსი ბურგომისტრი გაემგზავრა უმაღლეს მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ წინასწარ თანხმობა განაცხადა თავის თანამდებობაზე დარჩენაზე, „თუმცა ქალაქის მმართველობა გადავიდა მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელში (ინგლისის რადიოში ნათქვამია" მუშათა საბჭოს ხელში". გილზენკირხენის მუშების გამარჯვებამ აღაფრთოვანა ბოხუმის და დორტმუნდის მუშები, რომლებთაც განზრახული აქვთ საყოველთაო აჯანყების მოწყობა, როგორც კი ხელთ ჩაიგდებენ ფაბრიკა-ქარხნებს. მრეწველთა წრეებში გილზენკირხენის ამბები დიდ შიშს იწვევს.

ფიქრობენ, რომ თუ მუშათა მოძრაობა ასეთის ტემპით განვითარდა, მთელ რურში ადვილად დამყარდება საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ მოსალოდნელია მრავალი დაბრკოლებები, რადგან თუ გილზენკირხენის ამბებმა უფრო ფართე ხასიათი მიიღო, ფრანგები მიიღებენ შესაფერ ზომებს

მუშათა მილიცია.

ლონდონი. 26 მაისი. გილზენკირხენის ბურგომისტრის აზრით, მხოლოდ მუშური მილიცია შესძლებს ქალაქში წესრიგის დაცვას. ამიტომ ბურგომისტრი დასთანხმდა ქალაქში მუშათა მილიციის შექმნაზე.

რუსეთი და ინგლისი

ბალდვინი უფრო ნაკლებ შეურიგებელია ვიდრე კერზონი.

ლონდონი. 23 მაისი. „დეილი ნიუზ"-ი სწერს: ხმა დადის, რომ ბალდვინი უფრო უარყოფით ეკიდება რუსეთთან კავშირის გაწყვეტას, ვიდრე კერზონი. შესაძლებელია, ეს საკითხი გაირჩეს კაბინეტში, თუმცა უფრო საფიქრებელია, რომ, უკეთუ კერზონი კრასინთან შეხვედრით ვერ დაკმაყოფილდა, მაშინ დაუყოვნებლივ გაიწვევს ხოდმსონს.

ინგლისის კაბინეტი.

ლონდონი. 23 მაისი. საფრანგეთის ბურჟუაზიული პრესა თავშეკავებით ეკიდება ბალდვინის დანიშვნას ინგლისის პრემიერად

„ეკო დე პარი". ბალდვინის და[illegible] რომ ინგლისის მთავრობა ანგარიშს უწევს ინგლისის მუშათა პარტიას.

„ერ ნუველი". „ერ ნუველ"-ის აზრით, ბალდვინის დანიშვნით დასრულდა ხანა საფრანგეთის მიმართ მეგობრული ნეიტრალური ურთიერთობისა.

რუსეთის უკანასკნელი პასუხი

ბერლინი 25 მაისი. საბჭოთა რუსეთის უკანასკნელი პასუხი, რომელიც გაიგზავნა ამხ. კრასინისა და კერზონის მოლაპარაკების შემდეგ, ძალიან მოკლეა. საბჭოთა რუსეთი მოითხოვს, რომ სადაო საკითხი განსახილველად გადაეცეს საერთაშორისო კონფერენციას.

რუსეთის პასუხი გადაეცა

რომი 25 მაისი. იუწყებიან, რომ **ამხ. კრასინმა უკვე გადასცა კერზონს საბჭოთა რუსეთის უკანასკნელი პასუხი ინგლისის ულტიმატუმზე**

ვინ განიხილა რუსეთის პირველი პასუხი.

ლონდონი 25 მაისი. როგორც იუწყებიან, საბჭოთა მთავრობის პირველი პასუხი განიხილეს მინისტრებმა, რომლებიც შედიოდენ ბონარ-ლოუს კაბინეტში და ახლა თანხმობას აცხადებენ ბალდვინის კაბინეტში შესვლაზე. ეს სხდომა შესდგა ბალდვინის თავმჯდომარეობით, რომელიც მაშინ კიდევ ხაზინის კანცლერი იყო. სხდომას დაესწრო აგრეთვე კერზონი, კევი, დევონშირის ჰერცოგი, დერბი, ბარლოუ, ხორნი, ბრინჯმენი და ემგერიხი.

ცნობა ბრიტანეთის კაბინეტის გადაწყვეტილების შესახებ ამ დღეებში გადაეცემა კერზონს.

მოვიცადოთ.

ლონდონი 25 მაისი. იტყობინებიან რომ ინგლისის მთავრობის მიერ ოფიციალურად საბჭოთა რუსეთის ნოტის შესახებ არაფერი განცხადება არ იქნება გაკეთებული იმ დრომდის, სანამ ბრიტანეთის პასუხი არ ჩაბარდება ამხ. კრასინს.

„დეილი ტელეგრაფი" რუსეთის საკითხის შესახებ.

ლონდონი. 25 მაისი. „დეილი ტელეგრაფი" კომენტარიებს უკეთებს რუსეთის პასუხს ინგლისის მემორანდუმზე და ამბობს, რომ თუმცა საბჭოთა მთავრობის ნოტა სავსებით [illegible]ბა, მაგრამ ის შეიცავს საკონფლიქტო საკითხების ორივე სახელმწიფოების წარმომადგენლების კონფერენციის საშუალებით გადაწყვეტის შესაძლებლობას.

განხეთქილების წინააღმდეგ.

ლონდონი. 25 მაისი. ინგლისის გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავენ, რომ იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმულია საკითხების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის სურვილები, **ბრიტანეთის მთავრობამ არ უნდა მოინდომოს რუსეთ-ინგლისის სავაჭრო შეთანხმების დარღვევა.**

კრასინის შეხვედრა კერზონთან გადადებულია.

ლონდონი. 22 მაისი. მთავრობის კრიზისის გამო ინგლისში კრასინის შეხვედრა კერზონთან გადადებულია რამოდენიმე დღით.

რას ამბობს ტრალერის კაპიტანი.

ლონდონი. 23 მაისი. ტრალერ „დეემს კონსონის" კაპიტანმა ნილსონმა გაზეთ „დეილი გერალდს"-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც **კატეგორიულად უარყოფს ცნობას მურმანსკში დატუსაღებულ ტრალერის კომანდისადმი ცუდათ მოპყრობის შესახებ.** ნილსონი ამბობს, რომ ყველა ინგლისელებს ნება ჰქონდათ გემზე ეცხოვრათ და მათ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ მცხოვრებლებთან. ინგლისელი მეზღვაურები დადიოდენ თეატრში, თამაშობდენ ფუტბოლს და სხვა.

რუსეთის პასუხი კერზონისადმი

მოსკოვი. 24 მაისი. ამხ. კრასინმა გადასცა კერზონს რუსეთის შემდეგი პასუხი, რომელზედაც ხელს აწერს ჩიჩერინი.

ჩვენ არ გვინდა ომი.

რუსეთის მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომელიც აშკარად მოწმობს ინგლისის ხალხის რუსეთთან მშვიდობიანობის დაცვის სურვილს და იმედს გამოსთქვამს, რომ ულტიმატუმის ვადის გაგრძელება ხელს შეუწყობს შეთანხმების მიღწევას და განხეთქილების იმ შედეგების თავიდან აცდენას, რომლებიც გამომდინარეობენ ინგლისის მემორანდუმიდან. რუსეთის მთავრობას წარმოდგენილი აქვს ის, თუ როგორი აუტანელი საშიშროება და აუწერელი უბედურება დაატყდებოდა თავს კაცობრიობას ინგლის-რუსეთის ურთიერთობის შეწყვეტის და საყოველთაო მშვიდობიანობის დარღვევის შემთხვევაში.

ჩვენ მზად ვართ დავდოთ კონვენცია.

არ სურს არ იკისროს თავის თავზე პასუხისმგებლობა ასეთი შედეგების შესაძლებლობაში, საბჭოთა მთავრობა ჩრდილოეთის წყლებში თევზის ჭერის საკითხში მზად არის დასდოს დიდ-ბრიტანეთის მთავრობასთან კონვენცია, რომლითაც ინგლისის მოქალაქეებს ეძლევა თევზის ჭერის უფლება სამმილიანი ზონის გარეშე, სანამ ამ საკითხს ახლო მომავალში გადასჭრიდეს საერთაშორისო კონფერენცია—და გადაიხადოს კომპენსაცია ამ საქმეების გამო.

საბჭოთა მთავრობა მზად არის აგრეთვე აანაზღაუროს დევისონის დახვრეტა და ჟურნალისტ ქალის გარდინგის დაპატიმრება, ამასთანავე დასძენს, რომ ეს ნაბიჯი არ ნიშნავს იმას, თითქოს რუსეთის მთავრობა უკანონოდ სთვლიდეს თავის მოქმედებას ამ ჯაშუშების მიმართ, ვინაიდან გარდინგის და დევისონის დანაშაული დამტკიცებულია და მათ მიმართ მიღებული რეპრესიული ზომები სამართლიანია.

შემდეგ რუსეთის მთავრობა მზად არის უკან წაიღოს ორი წერილი, ვაინშტეინის ხელმოწერილი. რაც შეეხება ინგლისის მთავრობის პრეტენზიებს აღმოსავლეთში ინგლის-რუსეთის ხელშეკრულების დაცვის შესახებ, უარყოფს რა ბრალდებას ამ ხელშეკრულების დარღვევის შესახებ, რუსეთის მთავრობა ასეთი კონფლიქტების მომავალში თავიდან აცდენის მიზნით, ფიქრობს, რომ ეს საკითხი დაწვრილებით უნდა იქნეს გარჩეული ორთავე მთავრობის სპეციალური წარმომადგენლების მიერ.

ჩვენ გამოვარკვევთ ყველა სადავო საკითხებს.

რუსეთის მთავრობა, მზად არის განიმეოროს ვალდებულება, რომელიც აღნიშნულია ინგლის რუსეთის 1921 წ. 15 მარტის ხელშეკრულებაში და ყურადღებით გამოარკვიოს ამ ხელშეკრულების დარღვევის თვითეული შემთხვევა, როდესაც ამას ადგილი ექნება, ბრიტანეთის მთავრობის აზრით.

იმ შემთხვევაში, თუ დიდი-ბრიტანეთის მთავრობა განაცხადებს ორთავე სახელმწიფოს შორის არსებულ სადავო საკითხების განხილვის სურვილს, რუსეთის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ აღჭურვოს უფლებებით გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი ჩიჩერინი დიდი ბრიტანეთის მთავრობის რწმუნებულთან შესახვედრათ.

კერზონი ამზადებს პასუხს.

ლონდონი. 24 მაისი. კრასინის მიერ კერზონისათვის პასუხის გადაცემის დროს, უკანასკნელმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია საბოლოო აზრი გამოსთქვას კაბინეტის თათბირის გარეშე. მან მწუხარება გამოსთქვა, რომ პასუხში არაფერი არ არის ნათქვამი რასკოლნიკოვის და შუმიაცკის მოწვევის შესახებ.

ინგლისის მუშების მოთხოვნილება.

ინგლისის მუშები განხეთქილების წინააღმდეგი არიან.

ლონდონი. 23 მაისი. ფეხსაცმელების კოოპერატივების კავშირის ყოველ წლიურ კონფერენციაზე, სადაც 75 000 მუშები არიან წარმოდგენილი, გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ კატეგორიულად ვკიცხავთ დიდი ბრიტანეთის მთავრობას, განსაკუთრებით კერზონს, ხალხის დაუკითხავად ულტიმატუმის გაგზავნისათვის".

მუშები წინააღმდეგობას უმზადებენ კერზონს. ქვემო უელსის მუშების წარმომადგენლებმა რეზოლიუცია გამოიტანეს, რომელშიაც მუშათა პარტიის ყრილობისა და მუშათა ორგანიზაციების ეროვნულ კონფერენციის მოწვევას მოითხოვენ; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე შემდეგი მოქმედების გადაწყვეტილების მიღებას ინგლის-რუსეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

მუშათა პარტია მოითხოვს ნაციონალური კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევას

ლონდონი 24 მაისი. დღეს ბროკვეიმ, დამოუკიდებელი მუშათა პარტიის სახელით მუშათა პარტიის აღმასრულებელ კომიტეტს გაუგზავნა წერილი, რომელშიც დამოუკიდებელი მუშათა პარტია წინადადებას აძლევს ინგლისის მუშათა პარტიას დაუყოვნებლივ მოიწვიოს პარტიის ყველა ორგანიზაციების ნაციონალური კონფერენცია და ტრედ-უნიონების კონგრესი თუ ინგლისის მთავრობამ არ მიიღო რუსეთის პასუხი.

ინგლისის მთავრობის კრიზისის გარშემო

ახალი კაბინეტის შედგენა.

საზოგადოებრივ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ბალდვინმა თითქმის მოათავა თავისი კაბინეტის შედგენა. თვალსაჩინო პოსტებისაგან ჯერ თავისუფალია სახელმწიფო ხაზინის კანცლერის პოსტი, რომელიც ეჭირა თვითონ ბალდვინს.

რობერტ სესილი ახალ კაბინეტში.

ლონდონი. 25 მაისი. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რობერტ სესილი ახალ კაბინეტში შევა, როგორც კანცლერი ლანკასტერის საჰერცოგოსი.

ახალი კაბინეტის სიას მეფეს წარუდგენენ.

ლონდონი. 25 მაისი. ახალი მთავრობის შემადგენლობის სია ხვალ წარედგინება მეფეს, როდესაც იგი ლონდონში დაბრუნდება.

„საქმის კაცი".

პარიზი. 28 მაისი. ბალდვინის პრემიერად დანიშვნას საფრანგეთის ნაციონალური ბლოკის პრესა და მთავრობის წრეები შეხვდენ თანაგრძნობით. ოფიციალურ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის მთავრობა არავითარ ილუზიებს არ ამყარებს ბალდვინის პოლიტიკაზე, მაგრამ მის პრემიერად დანიშვნას იხილავს ისე, როგორც საფრანგეთისადმი ინგლისის მეგობრულ გრძნობების დემონსტრაციას. ყოველ შემთხვევაში, ბალდვინის კანდიდატურა საფრანგეთისათვის უფრო მისაღებია, ვინემ კერზონის.

პარიზის პოლიტიკური წრეები ბალდვინს სთვლიან „საქმის კაცად", თუმცაღა მისგანაც მოსალოდნელია ნაწილობრივი წინააღმდეგობა საფრანგეთის პოლიტიკისადმი სარეპარაციო საკითხში.

საფრანგეთის წრეების აზრით, ბოლდვინი, **არასოდეს არ შესწირავს ანტანტას მსხვერპლად ინგლისის იმპერიალისტური ინტრიგებს.**

კერზონი შეურაცყოფილია.

ლონდონი. 23 მაისი. ბალდვინის პრემიერად დანიშვნის გამო, „დეილი ტელეგრაფ"-ი თანაგრძნობას უცხადებს კერზონს. გაზეთი სწერს: „ჩვენ კიდევ ვფიქრობთ, რომ კერზონის უფლებები ამ თანამდებობაზე უფრო ფართოა, ვინემ ბალდვინის. დიდი უბედურება იქნება, თუ კერზონი საჭიროდ დაინახავს გადადგომას. ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს იმ „მუხანათური" დეკლარაციის გამო, რომელიც წამოაყენა მუშათა პარტიამ, რომელიც კერზონის პრემიერად დანიშვნის შემთხვევაში იმუქრებოდა, [illegible] მარდა პარლამენტის გასაშვებად. მუშათა პარტია, განაგრძობს გაზეთი, ისე სასტიკია, რომ მას არ შეუძლია არავითარი საბუთის წამოყენება მუქარის გარეშე".

ბალდვინის „ღვაწლი".

ლონდონი. 23 მაისი. „დეილი ხრონიკლი" სწერს: „**ბალდვინის დანიშვნა მოხდა იმ კონსერვატიული პარტიის გავლენით, რომელიც საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს მომავალს.** ბალდვინის ერთად ერთი „ღვაწლი" არის ბიუჯეტის საკმაოდ უხეირო ბალანსის გამოყვანა და ამერიკის ვალების კონსოლიდაცია. უკანასკნელში არავის არ შეეძლო უარესი პირობების მიღწევა, როგორისაც მიაღწია ბალდვინმა.

როგორ მოიქცევა კერზონი.

ლონდონი. 23 მაისი „მანჩესტერ გარდიენ"-ი სასტიკად ილაშქრებს კერზონის წინააღმდეგ.

„ჩვენ, სწერს გაზეთი, დიდი უნდობლობით უცქერით კერზონის საგარეო პოლიტიკას. პრემიერის სახით კერზონი საფრთხეს წარმოადგენდა სახელმწიფოსათვის. დღევანდელ დღეს, განაგრძობს „მანჩესტერ გარდიენი", გამოაშკარავებს იმას, თუ როგორი იქნება ახალი ურთიერთობა კერზონსა და ბალდვინს შორის. რუსეთის პასუხი მიღებულია და ისმება საკითხი, კერზონი განაგრძობს თუ არა მომავალშიც თავის [illegible] პოზიციაზე დგომას".

ახალი ომის შესაძლებლობა.

ლონდონი. 25 მაისი. „დეილი-მეილის" ლოზანელი კორესპონდენტის აზრით, საბერძნეთ-ოსმალეთის დავა საკონტრიბუციო საკითხის შესახებ ძლიერ გამწვავდა ბერძნების ჯიუტობის გამო. მუდმივი გადაჯგუფება ჯარებისა საბერძნეთსა და ოსმალეთში ადასტურებენ, რომ ომი შესაძლებელია. საბერძნეთის 160,000 ჯარი მზადაა ოსმალეთზე გასალაშქრებლად.

რურის ოლქის ოკუპაცია

რურის რკინისგზებზე.

ბერლინი, 25 მაისი. რურის ოლქის რკინის გზებზე გახშირდა მატარებლების დამსხვრევა, კინბერგის და ობერგაუზენის ახლო ერთმანეთს დაეჯახა სამხედრო მატარებლები.

არ სურთ ემსახურონ ოკუპანტებს.

ბერლინი, 25 მაისი. მიუხედავათ ოკუპანტების მიერ შევიწროვებისა და დიდი შრომის ხელფასის დაპირებისა, **საფრანგეთის აგენტებმა ვერ დაითანხეს გერმანელი რკინისგზელები ოკუპანტების სამსახურში შესვლაზე.**

საფრანგეთის უძლურება.

ბერლინი, 25 მაისი. რურის ოლქში გაფიცვების და აჯანყებების გამო გერმანიის პრესა აცხადებს, რომ ეს ამტკიცებს რურის ოლქის ოკუპაციის მიზანშეუწონლობას და საფრანგეთის უძლურებას მტაცებლური გეგმების გატარებაში.

ახლო აღმოსავლეთში

ომისთვის ემზადებიან.

ლონდონი 25 მაისი. როგორც კი სტამბოლში შეიტყვეს საბერძნეთის სამხედრო სამზადისი, უცხოელების შორის მაშინვე დაიწყო შეშფოთება და მოუსვენრობა. გავრცელებული ხმები, რომ მოკავშირეები თადარიგს შეუდგნენ უცხოელების გასაყვანად, შიშის ზარსა ჰბადებს. სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ **იტალიის მთავრობა გაგზავნის სტამბოლის რეიდზე თავისი გემების ნაწილს,** თუ უცხოელების გამოყვანა დაიწყო. **რადგანაც მოკავშირეებს სტამბოლში იმდენი ჯარი არა ჰყავთ, რომ ქალაქი შეინარჩუნონ,** ამისათვის **უცხოელების**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახიზვნა აუცილებელია. საფრთხე იმაშიც არის, რომ სტამბოლში მცხოვრები ბერძნები, ქალაქიდან გახიზვნის წინ ცეცხლს გაუჩენენ თავის ქონებას და სახლებს. ხმელეთზე მოქმედების სამზადისის გარდა, ბერძნები საზღვაო მოქმედებისათვისაც ავარჯიშებენ გემებს.

სხვადასხვა ამბები

ინგლისი

საჰაერო მეტოქეები.

ლონდონი. 23 მაისი. ყოფილი ლორდ კანცლერი ბირკენხედი აქვეყნებს სენსაციურ წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ **საფრანგეთის სამხედრო საჰაერო ძალები გაცილებით აღემატება ინგლისის საჰაერო ფლოტს. საჰაერო ფლოტზეა დამოკიდებული ბრიტანეთის იმპერიის არსებობა.** ეხლა შესაძლებელია ლონდონი 12 საათის განმავლობაში განიტვირთოს, სწერს ბირკენხედი, თუ ჩვენ ვერ შევქმნით ძლიერ საჰაერო ფლოტს თავდაცვისათვის.

ავსტრია

ერთი გზით შავრაზმელებთან ერთად.

ვენა 23 მაისი. **ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგ“-ი შეუერთდა შავრაზმელების მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიას.**

უნგრეთი

შემთანხმებელთა შორის.

ვენა. 23 მაისი. უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკამ დაადგინა მონაწილეობა არ მიიღოს სოციალისტურ პარტიების ჰამბურგის კონგრესში იმ დევნის გამო, რომელსაც პარტია განიცდის უნგრეთში. კონგრესის დამთავრების შემდეგ პარტიის პრეზიდიუმი ყველა ზომებს მიიღებს ახლად დაარსებულ ინტერნაციონალში შესასვლელად.

საფრანგეთი

„მოქმედების ჯგუფები“ ეკონომიური ბრძოლის მოწყობისათვის

პარიზი. 23 მაისი. ლიონის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ყრილობაზე ეკონომიური ბრძოლის საკითხის შესახებ დაადგინეს დაარსდეს „მოქმედების ჯგუფები“, რომელსაც ხელმძღვანელობას გაუწევენ ახალგაზრდობის კომკავშირის და პარტიის წარმომადგენლები.

ძმურ რესპუბლიკებში

რუსეთში.

რუსეთის საშველად.

მოსკოვი. 21 მაისი. საზღვარ გარეთ უცხოეთის 71 მეცნიერის ხელის მოწერით გამოვიდა მოწოდება, რათა რუსეთს დაუყოვნებლივ მიეშველონ შიმშილობისაგან გამოწვეულ სანიტარულ შედეგების ასაცილებლად. მოწოდებას ხელს აწერს: ნანსენი, შტრუმპელი, კიური და სხვანი.

პურის მეორე სესხი.

მოსკოვი. 22 მაისი. პურის მეორე სესხის რეალიზაციის მომხდენ კომისიის მიერ გაგზავნილია ადგილებზე 4 მილ. ფუთის რაოდენობის ობლიგაციები. ახლო მომავალში გაგზავნილი იქნება კიდევ 2 ნახ. მილ. ფუთის რაოდენობის ობლიგაციები.

სკიპიდარის წარმოება.

არხანგელსკი. 21 მაისი. ფისის გამომხდელთა კავშირმა შენკურსკის მაზრაში მიმდინარე სეზონის განმავლობაში გამოხადა 16.000 ბოჭკა ფისი და 10.000 ფუთი სკიპიდარი. გაკეთებულია სკიპიდარის ქარხნების რემონტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს ექსპორტისთვის ვარგისი საუკეთესო ხარისხის სკიპიდარი მივიღოთ.

შორი გზიდან.

ოდესა. 21 მაისი. დღეს ევპატორიაში დაბრუნდა საოკეანო გემი „დეკაბრისტი“, რომელმაც პირველი რეისი გააკეთა საბჭოთა ფლაგის ქვეშ პეტერბურგ—ვლადივოსტოკ—სტამბოლ—ევპატორიის ხაზის მიმართულებით.

შრომის დაცვა.

ოდესა. 21 მაისი. ოდესაში შესრულდა შრომის დაცვის 5 წლის არსებობის დღესასწაული. 5 წლის მუშაობის განმავლობაში შრომის განყოფილების მიერ გასინჯულია 1.586 წარმოება.

ბაქოს ნავთისათვის.

მოსკოვი. 21 მაისი. კონცესიებზე მოსალაპარაკებლად რუსეთში ჩამოვიდა საფრანგეთის ნავთის საზოგადოების „ინტერნაციონალ დე პეტროლ“-ის წარმომადგენელი ანდრიო. ამ საზოგადოებას აქვს 60 მილიონი ფრანკის კაპიტალი და მონაწილეობას იღებს ელზასის, რუმინიის და არგენტინის ნავთის წარმოებებში. კონცესიათა მთავარ კომიტეტის ნებართვით ანდრიო ბაქოში გაემგზავრა.

ვაჭრობა მონღოლეთთან.

მოსკოვი. 22 მაისი. მოსკოვში მონღოლეთის სავაჭრო დელეგაციის ჩამოსვლის, გამო მოწვეული იქნა სამეურნეო ორგანოების თათბირი მონღოლეთთან დამოკიდებულების აღდგენის საკითხზე მოსალაპარაკებლად.

ვაჭრობა სპარსეთთან.

მოსკოვი. 22 მაისი. რუსეთ-აღმოსავლეთის პალატის მიერ სინდიკატთა საბჭოსთან შეთანხმებით სპარსეთში იგზავნება სავაჭრო ექსპედიცია თანამედროვე სპარსეთის ეკონომიური მდგომარეობის გამოსაკვლევად და აგრეთვე ს. ს. რ. კავშირის ვაჭრობისა და მრეწველობის მდგომარეობის გასაცნობათ სპარსეთის წრეებისთვის. ექსპედიციის თავმჯდომარედ დანიშნულია რეზინო-ტრესტის თავმჯდომარე ამხ. ლეჟავა-მურატი.

კიდევ ქარხანა.

კიევი. 22 მაისი. ამ ერთი წლის წინად კავკასიის კორპუსის მიერ იჯარით აღებული დანგრეული ტყავის ქარხანა ქ. როდომისლში ამჟამად უკვე სრულებით აღდგენილია. ქარხანას თავსაყრელი სამუშაო აქვს და ერთი წლით უზრუნველყოფილია ნედლი მასალით, სათბობით და ხელსაწყო მასალით.

ამხანაგური გამოსარჩლება.

ოდესა. 23 მაისი. საბერძნეთის გემის მეზღვაურებმა, რომლებსაც ჯამაგირი არ მისცეს, მიმართეს ოდესის მეზღვაურთა პროფესიონალურ კავშირს და სთხოვეს ამხანაგური გამოსარჩლება.

კიევი ახლდება.

კიევი. 22 მაისი. კომუნალური აღმშენებლობა კიევში გაძლიერებული ნაბიჯით სწარმოებს. ქალაქის განაპირა უბნები სავსებით უზრუნველყოფილია განათებით და წყალით. ტრამვაის მოძრაობა თვალსაჩინოთ გაფართოვდა.

კომინტერნში

ფრანკფურტიდან ჰამბურგამდე

21 მაისს ჰამბურგში გაიხსნა ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების კონგრესი ამ ინტერნაციონალების გაერთიანების საკითხის განსახილველად.

რა ნაყოფს გამოიღებს ეს გაერთიანება?

მოჰყვება თუ არა ამას, როგორც ამ ინტერნაციონალების პრესა ამტკიცებს, საერთაშორისო მუშათა კლასის აქტიური ძალის გადიდება? საერთაშორისო მუშათა მოძრაობის აქტიური (სამოქმედო) ძალის გადიდება, ან უფრო სწორათ რომ ვთქვათ, ამ ძალის შექმნა უმნიშვნელოვანესი საკითხია პროლეტარიატისათვის. მაგრამ ამ მტკივანი საკითხის გადაჭრას ვერ შესძლებენ ნოსკე და ადლერი, თუ გინდ ერთ ინტერნაციონალში გაერთიანებულნი. ამ საკითხის გადასაჭრელად საჭიროა, რომ ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების ლიდერები იმ საკითხის წინაშე, რომელიც მთელ პროლეტარიატს ემუქრება, შეთანხმდნენ და გამოვიდნენ ამ საფრთხესთან საბრძოლათ.

საკითხი იმაში მდგომარეობს, მზად არიან თუ არა ისინი, როგორც ამას მოითხოვს მათგან ფრანკფურტის კონფერენცია, გამოვიდნენ კომუნისტურ პარტიასთან ერთად ახალი ომის საფრთხის, ფაშიზმის და საერთოდ კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლად.

მთელი ქვეყნის რევოლიუციონური მუშათა მოძრაობას სრული საბუთი აქვს უნდობლად უყუროს ვენისა და ლონდონის ინტერნაციონალებს და მათ გაერთიანებას. რევოლიუციონური მუშები კარგად ხედავენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერების—ნოსკეს და ებერტის მოღვაწეობას. პროლეტარიატს კარგად ახსოვს, რომ მეორე ინტერნაციონალის სხვადა სხვა პარტიები მუშათა კლასისათვის კრიტიკულ მომენტში რევოლიუციონური ბრძოლის მაგიერ იმალებოდენ თავისი ქვეყნის ბურჟუაზიის ზურგს უკან. ყოველ შემთხვევაში ახლა ისე, როგორც მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის იმპერიალიზმის რურის ოლქზე თავდასხმის დროს, გამომჟღავნდა ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების სრული უსუსურობა.

ფრანკფურტის კონფერენციას, რომელზედაც ირჩეოდა ერთიანი ფრონტის საკითხი, მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალების ბელადები, მიუხედავათ მრავალჯერ მოპატიჟებისა, არ დაესწრნენ. დღემდი ისინი ხელს უშლიან მშრომელთა ერთიანი ფრონტის შექმნას, რომლის მიზანია პროლეტარიატის თავდაცვა ბურჟუაზიის შეტევისაგან.

მიუხედავათ ამისა, ფრანკფურტის კონფერენციამ დაადგინა განსაკუთრებული დელეგაციის საშუალებით მოუწოდოს მეორე და ორნახევარ ინტერნაციონალებს ერთიანი ფრონტის შექმნისაკენ ფაშიზმთან და ახალი ომის საფრთხესთან საბრძოლად. ამ დელეგაციამ უკვე ინახულა ორნახევარი ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი. მოლაპარაკება მათთან ერთხელ კიდევ ააშკარავებს მათ ნამდვილ ბუნებას. აღმასრულებელმა კომიტეტმა უარყო ყოველგვარი მოლაპარაკება დელეგაციასთან და განუცხადა მას, რომ მისცემს წერილობითი პასუხს. ეს პასუხი დღემდისაც არ არის მიღებული. ამ პასუხმა უნდა დაუმტკიცოს მთელი ქვეყნის მუშებს, სცნობენ თუ არა ორნახევარი ინტერნაციონალის ბელადები კლასობრივი ბრძოლის ერთიან ფრონტს, თუ მათ გაერთიანებას მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან მიზნათ აქვს მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული ძალებით ბრძოლა კომუნისტ მუშების წინააღმდეგ.

ახლო ხანში მოქმედების კომიტეტს განზრახვა აქვს გაუგზავნოს დელეგაცია ამსტერდამის პროფკავშირთა და მეორე ინტერნაციონალს. მაშინ გამოირკვევა თუ როგორ უყურებენ ერთიან პროლეტარულ ფრონტს ამ ინტერნაციონალების ბელადები.

ყველაფერი ეს ხდება იმიტომ, რომ **სხვადასხვა პარტიების** რევოლიუციონური მუშების ლიდერებმა შეიგნეს ფრანკფურტის კონფერენციაზე, რომ მუშათა გაერთიანება მთლიანი ფრონტის საშუალებით მიმდინარე მომენტის სასიცოცხლო მოთხოვნილებაა. მაგრამ უფრო მნიშვნელოვან ფაქტს, ვიდრე დელეგაციების გაგზავნა, წარმოადგენს ის გავლენა, რომელსაც მუშები ახდენენ თავის ლიდერებზე. ამ გავლენის გარეშე, მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალების ლიდერები კვლავ უარს იტყვიან ერთიანი ფრონტის შექმნაზე, უფრო მეტი; ამ ინტერნაციონალების გაერთიანების ლოზუნგი იქნება: არავითარი კავშირი კომუნისტებთან, ბრძოლა კომუნისტ მუშების წინააღმდეგ.

საჭიროა ბევრი დაბრკოლებების გადალახვა, სანამ პროლეტარიატი ყველა ქვეყნებში შექმნის ნამდვილ ძალას ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობათ. რეფორმისტმა ბელადებმა არ უნდა შეუშალონ ხელი მუშების კლასობრივ ბრძოლას და ხელი უნდა აიღონ მუშათა კლასის ძალების დაქსაქსვაზე. თუ ორი და ორნახევარი ინტერნაციონალების ბელადები არ იზამენ ამას, ეს კი ადვილად არის მოსალოდნელი, პროლეტარიატმა, რომელიც მზად არის ბრძოლისათვის, მათ გარეშე უნდა შექმნას მთლიანი ფრონტი.

„ინპრეკორ“.

უცხოეთის ცხოვრება

პრუსიის ლანდტაგში

ყველა კომუნისტების გამორიცხვა ლანდტაგიდან

პრუსიის ლანტაგში კომუნისტმა ქალმა ჰეფფკემ შეიტანა წინადადება ლანტაგიდან პოლიციის გაყვანის შესახებ. ჰეფფკემ განაცხადა, რომ კომუნისტებმა მიმართეს ობსტრუქციას და გრძნობენ მთელ პასუხისმგებლობას მუშათა კლასის წინაშე. ლანტაგის კომუნისტური ფრაქციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომუნისტები რურში ხელმძღვანელობენ მუშათა კლასის თავდაცვას საფრანგეთის ჯარის ხიშტებისაგან და მოითხოვა პოლიციის გაყვანა პარლამენტიდან, რომელსაც არ ჰქონია იქ ადგილი ძველი რეჟიმის დროსაც კი.

კომუნისტების წინადადება უარყვეს და თავმჯდომარემ კულტის ბიუჯეტის შესახებ სიტყვა მისცა დემოკრატების ორატორს. კომუნისტებმა განაახლეს თავისი ობსტრუქცია და თავმჯდომარემ გარიცხა სამი კომუნისტი. განმეორდა პარლამენტის დარბაზიდან კომუნისტ დეპუტატების გაძევების სცენა. სხდომის განახლების შემდეგ დარჩენილი ორი კომუნისტი განაგრძობს ობსტრუქციას, მათაც პოლიციის საშვალებით აძევებენ სხდომიდან. ამ რიგად ლანტაგის კომუნისტური ფრაქციის ყველა დეპუტატები, გარდა სამისა, რომლებიც საზღვარ-გარეთ იმყოფებიან, საკმაოთ გრძელი ვადით გაძევებული არიან ლანტაგიდან. ამას გარდა სამი დეპუტატი, შვიტერი, შოლემი და ვოლშტეინი, პასუხისგებაში მიცემული სახელმწიფო მოხელეებისათვის წინააღმდეგობის გაწევისათვის, რაც პოლიციამ დაინახა იმაში, რომ ამ დეპუტატებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მათ პარლამენტიდან გაძევების დროს.

ამავე დროს ლანტაგის პრეზიდენტსა და პრესის წარმომადგენლებს შორის მოხდა კონფლიქტი, რომელსაც მოჰყვა პრესის წარმომადგენლების პატარა დემონსტრაცია თავმჯდომარის წინააღმდეგ. საქმე იმაშია მოითხოვა, რომ პრესის წარმომადგენლების წარმომადგენლებს დაეტოვებიათ სხდომის დარბაზი და ამ დროს იხმარა ისეთი ფრაზა, რომლის გაგება შეიძლებოდა როგორც საყვედურის, რომ პრესის წარმომადგენლები ლანტაგში მომხდარ ინციდენტებს იყენებენ საგაზეთო სენსაციებისათვის. ამის გამო პრესის წარმომადგენლებმა დასტოვეს ჟურნალისტების ტრიბუნა და დაბრუნდენ მხოლოდ იმის შემდეგ, როცა თავმჯდომარემ უკან წაიღო თავისი სიტყვები.

ამერიკის მუშათა მოძრაობა

საგაფიცვო ბრძოლა შეერთებულ შტატებში.

სან-ფრანცისკოში დაიწყო თერძების კავშირის მე 8 განყოფილების გაფიცვა, რომელიც გამოწვეულია მით, რომ დამქირავებლებმა უარი თქვეს განეახლებიათ ის ხელშეკრულება, რომლითაც კვირაში დაწესებული იყო 44 საათის სამუშაო კვირა, 6 უქმი დღით.

ნიუ-იორკში დაიწყო თეთრეულის წარმოების მუშათა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 4000 კაცი. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის 20 პროცენტით გადიდებას, 6 უქმის წლიწადში და სხვ.

გაფიცვას ხელმძღვანელობს კავშირის ადგილობრივი განყოფილება და მასში მონაწილეობას ღებულობენ აგრეთვე შეუკავშირებელი მუშებიც; გაფიცულთა 95 პროცენტს შეადგენენ ქალები და ბავშვები.

ნიუ იორკის საქსოვი ფაბრიკის მუშათა გაფიცვა თავდება მუშების გამარჯვებით.

დამქირავებლები თანდათან ეთანხმებიან კავშირის მიერ წარდგენილ პირობებზე. 18,000 მუშამ განაახლა მუშაობა.

ბუფალოში, ლოკფორტში და ნიაგარეში გაფიცული არიან ელექტრონის რკინის გზების მუშები, რომლებიც მოითხოვენ მწარმოებელთა ყვითელი კავშირის გაუქმებას, რომელიც დაარსეს მწარმოებლებმა მათ კავშირებთან საბრძოლველად. მსგავსი ორგანიზაცია, რომელიც მწარმოებლებს გაფიცვის დროს უგზავნის შტრეიკბრეხერებს, უკვე არსებობს ფილადელფიის ტრამვაის მუშებს შორის და მისმა ხელმძღვანელებმა გაგზავნეს თავიანთი წევრები ბუფალოში, ლოკფორტში და ნიაგარში.

„საერ. მუშ. მოძ.“

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

სამასწავლებლო კურსები.

ერევანი. 24 მაისი. სახალხო განათლების კომისარმა ნება დართო, რათა სამასწავლებლო განმეორებითი კურსებზე ამერიკული კომიტეტის მასწავლებლებიც დაუშვან.

ეროვნულ უმცირესობათა სკოლები.

ერევანი. 24 მაისი. ლორის მაზრაში ეროვნულ უმცირესობათ აქვთ შემდეგი სკოლები: 3 თურქების, 9 რუსების და 3 ბერძნების. თურქების სკოლაში სწავლობს 125 მოწაფე, ბერძნებისაში—175, რუსებისაში—739.

მეგრის მაზრაში არსებობს თურქებისათვის ორი სკოლა 55 მოწაფით.

გუმბრის მაზრაში არსებობს ერთი რუსული სკოლა 35 მოწაფით და თურქების 8 სკოლა—245 მოწაფით.

საპროტესტო დემონსტრაცია.

გუმბრი. 24 მაისი. გუმბრში კიდევ გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გამო. დემონსტრაციას დაერთო კარნავალი, რომელიც გამოჰხატავდა მილიტარიზმის დამხობას და კაპიტალის დასამარებას. გამოხატული იყო პუანკარე, რომელსაც ტაჩკით მოასვენებდენ. მსვლელობაში მონაწილეობას ღებულობდა 20.000 მეტი კაცი. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია იმპერიალისტების მოთხოვნის საწინააღმდეგო და გამოთქმული იყო გადაწყვეტილება, არაფერში არ დაუთმონ ბურჟუაზიას და მზად იყვნენ ფეხზე დადგნენ, როგორც ერთი კაცი, რევოლიუციის მონაპოვართა სადარაჯოზე.

მეფუტკრეობა.

დელიჟანი. 24 მაისი. დელიჟანში მოქმედება დაიწყო მეფუტკრეთა საზოგადოებამ, რომელსაც მიზნად დაუსახავს მეფუტკრეობის გავრცელება მთელს მაზრაში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 22 მაისი. 19 მაისს გაიმართა კრება ერევნის სამაზრო კომისიისა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეგროვების შესახებ. სხდომამ განიხილა საორგანიზაციო საკითხები კომისიის კონსტრუქციის შესახებ, გადასახადის აკრეფის საქმეში ჩაბმულ მუშაკთა გასამრჯელოს რაოდენობაზე და სხვ.

განათლების მუშაკთა ყრილობა.

ერევანი 23 მაისი. განათლების მუშაკთა მეორე ყრილობა განაგრძობს მუშაობას. განათლების სახალხო კომისრის ამხ. კრავიანის დაწვრილებითი მოხსენების შემდეგ, სოფლის სკოლებისა და კერძოდ სახელმძღვანელოთა უქონლობის შესახებ, ამ. კრავიანმა ყველა შეკითხვებზე დასაბუთებული პასუხი გასცა.

მშრომელთა პროტესტი.

ერევანი. 23 მაისი. დელიჟნიდან და ქეშიშკენდიდან იტყობინებიან, რომ იქ გაუმართავთ საპროტესტო მიტინგები ინგლისის ნოტისა და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გამო. მიტინგს დაესწრებია ახლომახლო სოფლებიდან აყარებელი გლეხობა. მიტინგზე ერთხმად მიუღიათ რეზოლიუცია, რომელშიაც გლეხკაცობა გამოსთქვამს სურვილს, რომ ყოველ წუთას მზად არის იგი დასტოვოს თავისი გუთანი და ხელში აიღოს იარაღი, რესპუბლიკის მშრომელი ხალხის ინტერესთა დასაცავად.

აზერბეიჯანი

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

ბაქო. 24 მაისი. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში ამ ჟამად მოსწავლე მოზრდილთა რიცხვი ბაქოსა და მისი რაიონების წერა-კითხვის უცოდინარ მთელი მცხოვრებლების 1|30 ნაწილს შეადგენს.

სტიქიური უბედურება.

ბაქო. 24 მაისი. ჯევათის მაზრის რაიონში 21 მაისს დიდმა ნიაღვარმა და სეტყვამ გადაიარა, რომელმაც სამი სოფლის ნათესები გააფუჭა. წყლის მიერ წაღებულია 4 წყლის წისქვილი.

მექრთამეობასთან ბრძოლა.

ბაქო 24 მაისი დატუსაღებულია მატრასინის სარაიონო აღმასკომი, რომელსაც ბრალი ედება მექრთამეობაში.

მუშათა და გლეხთა კლუბები.

იალამა 23 მაისი. იალამას სადგურზე (ყუბანის მაზრა) გაიხსნა საუცხოვოთ მოწყობილი მუშათა და გლეხთა კლუბი, ამხ. ბოგიროვის სახელწოდებისა. კლუბთან მოწყობილია სამკითხველო და სცენა.

ხანკენდი. 22 მაისი. სოფ. ხანკენდიში გაიხსნა კლუბი ამხ. ბუნიატოვის სახელწოდებისა.

პარტიული ცხოვრება

უჯრედებში მეცადინეობის შესახებ.

(ცირკულიარული წერილი № 281, 25 მაისი—23 წ.)

ძვირფასო ამხანაგებო!

დისკუსიის გამო, რომელიც ახლა სწარმოებს უჯრედებში მეცადინეობის ხასიათის შესახებ, თბილისის კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია ამ საკითხზე თავისი აზრის გამოთქმა. არა ერთხელ აღნიშნულა, რომ არ უნდა აურიოთ ერთმანეთში უჯრედი და პოლიტიკური წრე. პოლიტიკური წრე არის პირველი საფეხურის შკოლა მარქსისტულ მსოფლმხედველობის საფუძვლებში გასარკვევად, შესათვისებლად; წრე, სადაც ითვისებენ კომუნიზმის ანბანს. პოლიტწრეებში შედიან უპარტიოებიც, ზოგიერთი ასეთი წრე კი მხოლოდ უპარტიოებისაგან შესდგება. პოლიტწრეების პროგრამაში არ შედის მიმდინარე ცხოვრების არც ერთი საკითხი. მართალია, პარტიის თითეული წევრისთვის სავალდებულოა პოლიტიკური წრის პროგრამის გავლა, ვინაიდან პარტიის თითეული წევრი მოვალეა შეითვისოს ჩვენი აზროვნების, ისტორიის მატერიალისტურად გაგების, კლასობრივი ბრძოლის, პარტიის ისტორიის, პროგრამის და წესდების საფუძვლები, მან უნდა იცოდეს საბჭოთა მშენებლობის ძირითადი პრინციპები და სხვა. ყველა ეს საკითხები უნდა შეითვისოს პარტიის თითეულმა წევრმა, მაგრამ პოლიტიკური ცოდნის გადატანა უჯრედში ნიშნავს პარტიისთვის უჯრედების მნიშვნელობის, მათი ხასიათის და როლის სრულიად არ ცოდნას.

უჯრედი არის ჩვენი ორგანიზაციის ძირითადი ფუძე, მასებში ჩვენი გადაწყვეტილებების და დადგენილებების გამტარებელი. მიმდინარე ცხოვრების ყველა საკითხები, პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების საკითხები, ჩვენი პარტიის ყველა დადგენილებები, ტაქტიკის შეცვლა, ყრილობების გადაწყვეტილება, მთელი ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პირველ ყოვლისა ირჩევა უჯრედებში და შემდეგ გადავაქვს უპარტიო მასებში.

მართალია, ჩვენ გვაქვს პრესა, სადაც შუქდება ყველა საკითხები, გვაქვს საერთო კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები, მაგრამ ჩვენი დადგენილებების და აზრის დამუშავება ხდება უჯრედებში და ის ატარებს ამას უპარტიო მასაში, რასაკვირველია, მასიური აგიტაციისათვის, ფართე პოლიტიკური კამპანიების ჩატარებისათვის ჩვენ ვიძლევით პასუხისმგებელ მომზადებულ ამხანაგებს, მაგრამ ყოველდღიური მუშაობა, ჩვენი ჩვეულებრივი მუშაობა, მასებთან კავშირი ხდება პარტიის უბრალო წევრების საშუალებით. ეს უნდა გაიგოს და შეითვისოს პარტიის ყველა წევრებმა, მაშინ მათთვის გასაგები იქნება უჯრედების მნიშვნელობა და იქ მეცადინეობის წარმოების ხასიათი.

უჯრედთან მიმაგრებული ამხანაგი უნდა ცდილობდეს, რომ გასარჩევი განსახილველი კითხვები კარგათ შეითვისოს უჯრედის თითოეულმა წევრმა და შესძლოს აუხსნას ის უპარტიო ამხანაგს.

იმის შესახებ, რომ უფრო იშვიათად ვიკრიბებოდეთ, ლაპარაკი ზედმეტია. უჯრედი, კვირაში ერთხელ შეკრებით, ვერ ასწრებს ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხების ნახევრის განხილვასაც კი.

წამოყენებული იყო აგრეთვე პარტიული დღის გაუქმების შესახებ, იმის შესახებ, რომ დღის წესრიგს ნიშნავდეს არა თბილისის კომიტეტი, არამედ თვით უჯრედები და ირჩეოდეს მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის საკითხი. თბილისის კომიტეტი ფიქრობს, რომ რამდენათაც უჯრედი წარმოადგენს პარტიის ნაწილს, ის ცხოვრობს იმავე ცხოვრებით, როგორითაც მთელი პარტია, ამიტომ პარტიული ცხოვრების ყველა საკითხები უნდა გაირჩეს უჯრედებში, მაგრამ უჯრედი დაკავშირებულია აგრეთვე წარმოებასთან, ამიტომ ადგილობრივი წარმოების საკითხებს უნდა მიექცეს მეტად სერიოზული ყურადღება.

იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, თბილისის კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია:

1. დარჩეს ერთიანი პარტიული დღე
2. უჯრედებში ირჩეოდეს პარტიული და წარმოების საკითხები როგორც ადგილობრივი, ისე საერთო ხასიათის.
3. არავითარ შემთხვევაში არ აურიონ ერთმანეთში პოლიტიკური განათლების წრე და უჯრედი.
4. უჯრედების კრებები ხდებოდეს კვირაში ერთხელ რეგულიარულად.
5. განსახილველ საკითხებს უნდა მიეცეს აუცილებლად საუბარის ხასიათი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს უჯრედის ყველა წევრებმა.
6. მოეწყოს მიმაგრებულ ამხანაგების კრებები ინსტრუქტორული მიზნით, საკითხების დასამუშავებლად და უჯრედებში მუშაობის მეთოდის შესათვისებლად.

ადასტურებს რა ამ ცირკულიარით ერთხელ კიდევ თავის შეხედულებას უჯრედებში მეცადინეობის შესახებ, თბილისის კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღიაროს, რომ მიმართულება, რომელმაც იჩინა თავი დისკუსიის დროს უჯრედებში მეცადინეობის ხასიათის შესახებ, რომელიც ცდილობს [illegible] უჯრედების ამოცანები, მოსწყვიტოს ის პარტიულ ცხოვრებას, გადააქციოს უჯრედი პოლიტგანათლების წრეთ, მისწრაფება იქით, რომ უჯრედები იკრიბებოდენ უფრო იშვიათად და სხვა, არის არა ჯანსაღი მიმართულება, რომელიც ცდილობს, შეასუსტოს პარტიის მუშაობა და ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი გადაჭრით კიცხავს ამას.

თბილისის კომიტეტის მდივანი

რუბენი.

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის გერმანელ უპარტიო გლეხების პირველი კონფერენცია

ა.|წ. 20 და 21 მაისს კოლონია ლიბკნეხტსდორფში (ყოფ. ალექსანდერსდორფის კოლონია, თბილისიდან 3 ვერსის მოშორებით) შესდგა საქართველოს კომპარტიის ცეკას გერმანულ სექციის მიერ მოწვეული გერმანელ უპარტიო გლეხთა პირველი კონფერენცია. კონფერენციის მოწვევის მიზანი იყო კოლონისტების ცენტრთან დაახლოვება და ცენტრის სურვილი გაეგო ამ სოფლის-მეურნეობის კულტურტრეგერების და მოწინავე გლეხების საჭიროებანი. კოლონისტებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს კონფერენციაში, რადგან იცოდენ თუ რა მნიშვნელობა აქვს მას მათთვის. კონფერენციაზე თავისი წარმომადგენლები გამოგზავნეს შემდეგმა კოლონიებმა: ლიუქსემბურგმა, ელისავეტტალმა, მარიენფელდმა, ლიბკნეხტსდორფმა, ტრაუნბერგმა, გეორგსტალმა, მარაბდამ, კოტიშმ და და იაკობლიმ. სამწუხაროდ ზემო კოლონიების ალექსანდერსგილფ და თრამშენის კულტურულად უფრო ჩამორჩენილმა მცხოვრებლებმა, ალბათ ამ კოლონიების ცენტრიდან სიშორის გამო, თავისი წარმომადგენლები არ გამოგზავნეს.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცეკას გერმანულ სექციის გამგემ ამხ. შპილმანმა, რომელიც კონფერენციას მიესალმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დავალებით. კონფერენციას მიესალმენ აგრეთვე საქ. კომპარტიის ცეკას სახელით ამხ. კვირიკაძე, კოლონია ლიბკნეხტსდორფის სახელით ამხ. ოზოლინი, ავჭალის აღმასკომის სახელით ამხ კანდელაკი და ბორჩალოს სამაზრო აღმასკომის სახელით ამხ. რაიზერი, რომელთაც აღნიშნეს მოწვეული კონფერენციის მნიშვნელობა და უსურვეს მას ნაყოფიერი მუშაობა. თვითეული მისასალმებელი სიტყვა ტაშით იფარებოდა, მუსიკა უკრავდა ინტერნაციონალს.

მისალმების შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომელშიაც შევიდნენ: გერმანულ სექციის გამგე ამხანაგი შპილმანი, საქარ. კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე ამხ. კვირიკაძე, კოლონისტებიდან ამხ. ამხ. რაიზერი, კრომბერგი, ნონნენმახერი, გერსტენლაუერი, კელლე და გენრიხ რაიზერი და სამანდატო კომისიაში ამხ. ზარტი და ცეები. კონფერენციის საპატიო წევრებათ არჩეული არიან: ამხ. ამხ. ლენინი, ტროცკი, კლარა ცეტკინი მაქს გელცი, ბრანდლერი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და ორჯონიკიძე, რომელთაც აგრეთვე მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნათ.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ ამხ. კვირიკაძემ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელმაც თავის ვრცელ სიტყვაში განუმარტა დამსწრეებს ცალკე სახელმწიფოთა ურთიერთობა პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში და როგორც ყველა უბედურებისა და ბოროტების მიზეზი მსოფლიოში დაასახელა კაპიტალისტური ქვეყნების ბრძოლა საერთაშორისო ბაზრისათვის თავისი საქონლის გასასაღებლად და აგრეთვე კაპიტალისტების მიერ მუშათა და გლეხთა დამონავება, რომლებსაც აწვებათ ომის მთელი საშინელებანი. ამხ. კვირიკაძე აცხადებს, რომ ყველა ქვეყნის პროლეტარებმა უნდა გაიგონ ეს და შეეცადონ მოიხსნან კისრიდან კაპიტალიზმის უღელი და თავისი სიტყვა შემდეგი ლოზუნგებით დაამთავრა: „გაუმარჯოს მუშათა კლასს“, „წყევა და სიკვდილი ბურჟუაზიას“—„გაუმარჯოს გერმანულ პროლეტარიატს“.

მისი სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც კოლონისტები აცხადებენ, „რომ 20 მაისი არის ქვაკუთხედი სოფლის მეურნეობის განვითარებისა კოლონიებში და პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს გერმანელ კოლონისტების საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან დასაახლოვებლად გადადგმულს; კოლონისტები სურვილს გამოსთქვამენ ყოველი ღონისძიებით აღადგინონ სოფლის მეურნეობა და ფიცს სდებენ, რომ მუდამ ერთგული მოქალაქენი იქნებიან საბჭოთა საქართველოსი და აგრეთვე მოითხოვენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შექმნას გერმანიაში და შემდეგ ლოზუნგებს აყენებენ; „გაუმარჯოს საქართველოს ს. ს რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობას, გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას ყველა ქვეყნებში“. „გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა მთავრობას გერმანიაში“. „გაუმარჯოს რუსეთის კავშირს გერმანიასთან“. „გაუმარჯოს მე-3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალს“.

კონფერენციაზე აღძრული იყო საკითხი გერმანელთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის შემდეგი არსებობის შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გამოირკვა, რომ ამ გერმანელთა კავშირის, როგორც წმინდა ნაციონალისტურის, არსებობა ამ ჟამად ზედმეტია, რადგან მუშათა და გლეხთა ხელისუფლება ერთნაირათ ზრუნავს ყველა მოქალაქეებზე და არაფერ განსხვავებას არ აკეთებს ეროვნებათა შორის, რის გამო გამოტანილი იქნა დადგენილება აღნიშნული კავშირის ლიკვიდაციისა და კოლონიების წარმომადგენლობის საქართველოს კომპარტიის ცეკას გერმანულ სექციისათვის გადაცემის შესახებ.

შემდეგ ამხ. შპილმანმა მოხსენება გააკეთა შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ საგლეხო კომიტეტების შესახებ და დაწვრილებით აღნიშნა ამ კომიტეტების მიზანი და ამოცანები და სთხოვა კოლონისტების წარმომადგენლებს ადგილებზე დაბრუნების შემდეგ, მიიღონ ყველა ზომები, რომ ამ კომიტეტების მუშაობა უფრო ნაყოფიერი იყოს.

დელეგატებმა აგრეთვე დიდი ყურადღებით მოისმინეს შემდეგი მოხსენებებიც: ამხ. უვანიასი (მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი) აგრარული პოლიტიკის შესახებ, ამხ. სპირიდონოვის (ცეკავშირის წარმომადგენელი) კოოპერაციის, მისი სტრუქტურისა და დანიშნულების შესახებ და ამხ. ამხ. პფეფფერისა და ბერდზევიცის შრომის სკოლის პრინციპების შესახებ. ყველა მოხსენებების შესახებ გამოტანილ იქნა შესაფერი რეზოლიუციები.

სათანადო ყურადღებით მოისმინეს დელეგატებმა აგრეთვე ამხ. შპილმანის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცეკას მიერ გამოცემულ გაზეთ „ლანდარბეიტის“ შესახებ და ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს მას [illegible] და პირადათ [illegible]ლებით.

საერთოდ კონფერენციას საქმიანი ხასიათი ჰქონდა; დღის წესრიგში დასმული ყველა საკითხი სათანადოდ იყო გაშუქებული და დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილებანი იყო გამოტანილი. მეორე დღეს კონფერენციას ესტუმრა ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელსაც დელეგატები მხურვალე ოვაციებით შეხვდნენ. ამხ. მახარაძემ არა თუ პატივი სცა კონფერენციას თავისი დასწრებით, მან დიდი სამსახური გაუწია მას: ის დიდი სიამოვნებით უპასუხებდა იმ კითხვებზე, რომელსაც მას დელეგატები აძლევდენ და ძვირფას რჩევასა და განმარტებას აძლევდა კონფერენციას. ამხ. მახარაძემ მთელი დღე დელეგატებთან გაატარა, მონაწილეობას ღებულობდა სხდომებზე და დიდი სამსახური გაუწია კოლონისტებთან დაახლოვების საქმეს.

კონფერენციის შესვენების დროს პირველ დღეს ნაჩვენები იყო მიწის მოხვნა ტრაქტორით და გუთანით, რომელმაც დიდათ დააინტერესა დელეგატები; ისინი მრავალ კითხვებს აძლევდენ ინჟენერს, რომელიც ტრაქტორის მუშაობას ხელმძღვანელობდა. ზოგიერთი დელეგატები იმდენად დაინტერესდენ ტრაქტორით, რომ გადაწყვიტეს წინადადება მისცენ თავის კოლონიას შეიძინონ ტრაქტორები.

კონფერენციამ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა დელეგატებზე და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ისინი, როცა დაბრუნდებიან ადგილებზე, სისწორით გადასცემენ თავის კოლონიას იმ შთაბეჭდილებებს, რომელიც მათ კონფერენციაზე მიიღეს. კონფერენცია დახურა ამხ. შპილმანმა, რომელმაც სურვილი გამოსთქვა იმის შესახებ, რომ შემდეგი შეკრება მოხდეს შემოდგომაზე ანგარიშის ჩასაბარებლად.

მონაწილე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

26 მაისი.

ჩერვონცები —11,100 ათასი.
გირვან. ჩეკები —12,900 ათასი
ოსმალ. ლირა —1,850 ათასი.
ფრანკები ეფექტ.—165 ათასი
საბჭ. ფულ. ნიშნ.—18,75 ათასი.

ვალიუტის ბაზრის სულიერი განწყობილება.

(26 მაისი)

მუშაობის პირველი დღე ხასიათდება შესამჩნევი გაცხოველებით. მოთხოვნილება ჩერვონცებზეა, დანარჩენი ვალიუტის მხოლოდ მიწოდებაა.

ძვირფასი ლითონების ფასი

(26 მაისი)

ოქრო 96 სინჯის—0,594 ჩ. ოქრო 56 გასინჯ.—0,297 ჩ.; ვერცხლი 84 შინჯის—0,01155 ჩ., ვერცხლის მანეთი—0,0297 ჩ.

ს. ს. უ. ს. თამბაქოს ტრესტში.

(მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა).

ყველა ტრესტში შემავალ წარმოებებში (6 თბილისის თამბაქოს ქარხანა, 1 ქუთაისის და 1 კოლოფების ფაბრიკა) აპრილში ითვლებოდა 1329 მუშა და მოსამსახურე, აქედან ადმინისტრაცია 18 კაცი, მოსამსახურეები 109 კაცი, მწარმოებელი მუშები 1047 და ისეთები, რომელნიც წარმოებაში მონაწილეობას არ ღებულობენ 154 კაცი. ფაქტიურად ნამუშევარი დღე-კაცის რიცხვი უდრის 20,348, გამოტოვებულია სხვადასხვა მიზეზების გამო 2943 დღე-კაცი

მუშათა და მოსამსახურეთა მთელი შტატის შესანახავად დახარჯულია 23,117,041,468 მან.

კოლოფების ფაბრიკა

საანგარიშო თვის განმავლობაში დამზადებულია 1,199,000 ცალი კოლოფი, დახარჯულია 1,183,195 ც., 1 მაისისათვის დარჩა 418,094 ცალი.

თამბაქოს ფაბრიკები.

5 სახელმწიფო თამბაქოს ფაბრიკაზე თბილისსა და ქუთაისში აპრილის განმავლობაში დამზადებულია 42,489,600 ცალი პაპიროსი. მიეცა სხვადასხვა წარმოებებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და სხვებს სულ 22,280,075 ც., რომელ რიცხვიდანაც კერძო პირებს მიეცა 7,695,000 ც. ანდა 34,5 პროც. და დაწესებულებებს 2.888.560 ცალი ანდა 13 პრ. ამავე დროის განმავლობაში დამზადებულია 65,710 გირ. თამბაქო, სულ გასაღებულია 142,635 გირ., რომელ რიცხვიდანაც კერძო პირებს მიეცა 8,349 გირ. ე. ი. 5,8 პროც. და დაწესებულებებს 118,946 გირ. ე. ი. 83,4 პროც..

ფაბრიკა „ბავშვთა საზრდოება“:

ფაბრიკა „ბავშვთა საზრდოება“ შედის აგრეთვე თამბაქოს ტრესტში და დიდი ხანი არ არის რაც მუშაობს: ის 24 დღეა რაც მუშაობს და მისი მუშათა და მოსამსახურეთა შტატი შეადგენს 9 კაცს. აპრილის განმავლობაში დამზადებულია: ნამცხვარი 61 ფ. 19 გ. საბავშო ფქვილი 364 კოლ. და ყავა 1 ფ. 20 გირ., გაცემულია ნამცხვარი 66 ფ. 10 გ., საბავშო ფქვილი 513 კოლ. და ყავა 7 ფ. (ნაწილი 1 აპრილისათვის დარჩენილ ნაშთიდან).

ასანთის ფაბრიკა „25 ოქტომბერი“.

ფაბრიკა მუშაობდა სულ 23 დღე და მისი მუშათა და მოსამსახურეთა შტატი შეადგენდა 63 კაცს; აქედან მწარმოებელი მუშები 50 კაცი. აპრილის განმავლობაში დამზადებულია 218 ყუთი, 55 პაჩკა და 2 კოლოფი; გაცემულია 273 ყუთი და 99 პ.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

ბორჩალოს მაზრა

გაზაფხულის ხორბლეულის თესვა მთელ მაზრაში დამთავრებულია. სიმინდის თესვა ჯერ-ჯერობით გრძელდება და გასტანს ივნისის პირველ რიცხვამდე.

მთელი სახნავ-სათესი სივრცე თავის დროზე დაითესა. დაუთესავი ადგილები არ დარჩა. პირიქით, ომის წინა (ნორმალურ) პერიოდთან შედარებით ნათესების სივრცე 10 პროც. გადიდდა. ეს გამოწვეულია უმთავრესად ყოფილი სათავადო მიწების გლეხობისათვის გადაცემით. ქვემო-ბორჩალოში, სახელდობრ, მდინარე ხრამის და მისი შესართავების ალგეთის, დებედ-ჩაის და მაშავერის ნაპირებზე, ამ წელს, წარსულ წელთან შედარებით დიდი იყო შემოდგომის ნათესები. ამ ადგილებში შემოდგომის ნათესები შეადგენდა მთელი სახნავ-სათესი სივრცის 80—90 პროც. ეს დიდი პლიუსია სოფლის მეურნეობისათვის, ვინაიდან აქ შემოდგომის ნათესები უფრო მეტ მოსავალს იძლევა ვიდრე გაზაფხულის ხორბლეული.

მაზრის მაღალ ადგილებში შემოდგომის და გაზაფხულის ნათესებს თითქმის თანასწორი სივრცე უჭირავთ.

მოსახლეობას წრეულს დიდი სურვილი ჰქონდა ხელი მოეკიდა ბამბის კულტურისათვის, მაგრამ თესლის უქონლობის გამო დაითესა მხოლოდ ათ დესეტინამდი, განზრახული იყო კი 200.

მაზრის დაბალ ადგილებში, სარწყავ მიწებზე მდ. ხრამის, დებედ-ჩაის და მაშავერის ნაპირებზე. მოელიან საშუალოზე უკეთეს მოსავალს, ალგეთის ნაპირებზე კი საშუალოს. მაღალ ადგილებში მოსავალს ზოგან საშუალოზე უკეთესი პირი უჩანს, ზოგან კი საშუალო.

ამ, შედარებით ცხელ მაზრაში მოსავალი სავსებით არის დამოკიდებული: 1) თავის დროზე და საკმაო წვიმებისაგან, 2) ნათესების გაწმენდისაგან და 3) სტიქიურ უბედურებისაგან.

პირველი პირობა, იმ შემთხვევაში თუ წვიმა საკმაოთ მოვიდა არ არის საშიში, რადგან სარწყავ არხების მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, განსაკუთრებით კი იმ არხების, რომლებიც წყალს იღებენ ალგეთიდან, დებედ-ჩაიდან და მაშავერიდან.

უკანასკნელ ხანებში ბორჩალოს მაზრაში სეტყვა ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა.

ამ წელს მაზრაში სეტყვამ უკვე მიაყენა ნათესებს საგრძნობი ზიანი: 6—7 მაისს მდ. მაშავერის შუა და ქვემო ნაწილის ნაპირებზე სეტყვამ გააფუჭა ნათესების 45—50 პროც. 900 დესეტინა; 15—16 მაისს მდინარე ხრამის ნაპირებზე სეტყვამ გააფუჭა 2,000 დესეტინა ნათესი. რასაკვირველია, თუ ხელსაყრელი პირობები დაურჩა, ნათესები იბრუნებს პირს, მაგრამ ამის გარეშე ზარალი ფრიად საგრძნობია.

თბილისის მაზრა

თბილისის მაზრაში თესვის კამპანია მთავრდება. 1922 წელთან შედარებით შემოდგომის ნათესების სივრცე მაზრაში გაიზარდა 20—25 პროცენტით., განსაკუთრებით მანგლისის,

აგარაკებზე ადგილების განაწილება მაზრებს შორის

მიმდინარე საკურორტო სეზონში საქართველოს პროფორგანიზაციებს მიეცა ორასი ადგილი აბასთუმნის, წაღვერის, პატარა ცემის და ბორჯომის სანატორიუმში. სანატორიუმები შეინახება სახელმწიფო ხარჯზე.

საქ. პროფკავშირთა სამდივნომ მიიღო რა მხედველობაში საქართველოს პროფკავშირების როგორც წევრთა რაოდენობა, ისე წევრთა შემადგენლობა, მთავარ საკურორტო მმართველობასთან შეთანხმებით მოახდინა ამ ორასი ადგილის შემდეგნაირი განაწილება მაზრების მიხედვით.

1. ტფილისს (მაზრასთან ერთად)	მიეცა	—131	ადგილი
2. აჭარას	„	— 20	„
3. აფხაზეთს	„	— 4	„
4. ქუთაისს (ტყიბულთან ერთად)	„	— 12	„
5. ჭიათურას	„	— 5	„
6. ფოთს	„	— 5	„
7. ახალ-სენაკს	„	— 2	„
8. ზუგდიდს	„	— 1	„
9. ახალციხეს	„	— 1	„
10. ბორჯომს	„	— 3	„
11. გორს	„	— 2	„
12. სიღნაღს	„	— 2	„
13. დუშეთს	„	— 1	„
14. თელავს	„	— 2	„
15. ბორჩალოს	„	— 2	„
16. ოზურგეთს	„	— 2	„
17. სამხრეთ ოსეთს	„	— 2	„
18. თიონეთს	„	— 1	„
19. ახალქალაქს	„	— 1	„
20. რაჭას	„	— 1	„

აღნიშნულ ადგილების 70 პროც.-ით უნდა ისარგებლოს ფიზიკურ შრომაში ჩაბმულ პირებმა, 20 პროც. დაეთმობა გონებრივ და საკანტორო შრომაში ჩაბმულ პირთ, 10 პროცენტი დაეთმობა მუშაკთა ოჯახების წევრთ.

კურორტებზე მისაღებად საჭიროა სათანადო ექიმის მოწმობა, რომელიც უნდა წარედგინოს ჯანმრთელობის ადგილობრივ განყოფილებას, რომელიც იძლევა სათანადო მოწმობას კურორტზე გაგზავნის შესახებ.

იმ ავადმყოფებმა, რომელნიც ცხოვრობენ ტფილისში, უნდა მიიღონ მოწმობები რაიონულ ამბულატორიიდან.

ბორჯომამდე ავადმყოფების გადაგზავნა უნდა ხდებოდეს ან წარმოების (დაწესებულების), ან თვით ავადმყოფის ხარჯზე; ბორჯომიდან ავადმყოფის გადაყვანას დანიშნულ ადგილამდე თვით საკურორტო მმართველობა კისრულობს.

კურორტების გახსნის და ავადმყოფების გაგზავნის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ასურეთის და ალბულალის რაიონებში. ნათესების სივრცის გადიდება მოხდა ნაწილობრივ გაზაფხულის ნათესების და ნაწილობრივ საძოვარი ადგილების ხარჯზე.

ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, აგჭალის, დიღომის და წყნეთის რაიონებში საშუალოზე უკეთესი, პრიუტის, მანგლისის და წალკის რაიონებში—კარგი, მხოლოდ ალბულალის, ასურეთის და ქალაქის გარე უბნის რაიონებში—საშუალოზე ნაკლები. აგრონომიული პერსონალი ენერგიულ დახმარებას უწევდა თესვის კამპანიის ჩატარებას ლექციების კითხვით, რჩევა-დარიგების მიცემით და სხვა.

ვ. ევეცი.

საბებიო ინსტიტუტის 50 წლის არსებობის იუბილე

27 მაისს, 1923 წ. საბებიო ინსტიტუტი საზეიმო აქტით აღნიშნავს თავის 50 წლის არსებობას. ეს მოვლენა იმდენად ღირსშესანიშნავია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია არ გაუკეთოთ ჯამი იმ ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც შეასრულა მან ამ ხნის განმავლობაში. 1873 წ. მას პირველად ჩაეყარა საძირკველი, როცა დაარსდა თბილისში სამშობიარო სახლი „თბილისის მშობიარეთა დამხმარე დაწესებულების“ სახელწოდებით (Тифлисское родовспомогательное заведение) მას ჰქონდა 12 საწოლი მხოლოდ და განაგებდა განსვენებული ექიმი ალექსი პავლეს ძე არტემიევი.

ეს ის ხანა იყო, როცა ჩვენში ფართე ნიადაგი ჰქონდა ექიმბაშობას და მარჩიელობას. ადგილობრივი მკვიდრნი ფეხმძიმე ქალები მშობიარობის დროს მიმართავდნენ არა მეცნიერულად და სათანადოდ მომზადებულ ექიმებს, არამედ მარჩიელებს და შემლოცველებს, რის გამო ისინი ადვილად ხდებოდენ მსხვერპლი მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობისა და გართულებებისა. თავშესაფარის დამაარსების მთავარ ამოცანას შეადგენდა ადგილობრივი მკვიდრნი შეჩვეოდენ თავშესაფარში დახმარების მიღებას და აღჭურვილიყვნენ მისდამი ნდობით. ამას ამან ძალიან მოკლე ხანში მიაღწია, და საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ხანდისხან მშობიარეთ უარს ეუბნებოდენ მიღებაზე ულაგობის გამო.

ფართო საზოგადოებაში მეცნიერულად მკურნალობის მოთხოვნილება იმდენად დიდი შეიქნა, რომ 1882 წ. აქვე გახსნა გინეკოლოგიური განყოფილება 6 საწოლით. რომ საქმე ყოველ მხრივ ყოფილიყო თავის დონეზე დაყენებული, არა მარტო ამ პატარა დაწესებულებისთვის, არამედ უფრო ფართე მაშტაბით, 1875 წ. გაიხსნა 2 წლიანი საბებიო კურსები ბებია ქალების საკმაო კადრის მოსამზადებლად. თვით ძველი სახელწოდება დაწესებულებისა შეცვლილი იქნა „ამიერ-კავკასიის ოლქის საბებიო ინსტიტუტის“ სახელწოდებით. სამშობიარო თავშესაფარს ეჭირა მაშინ პატარა ორსართულიანი სახლი ეზოთი, სადაც უწინ იყო მოთავსებული თავშესაფარი, ოლღას ქუჩაზე, სახლი ყოვლად დაძველებული და გამოუსადეგარი. მიუხედავად ახალ-ახალ შენობების მიშენებისა 1891—1901 წ. საქმის მიმდინარეობის ვითარება დაჟინებით მოითხოვდა საკუთარი და სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებებთან შეფარდებულ შენობის ასაგებად.

1904 წ. ინსტიტუტის სამეურნეო კომიტეტის მიერ დირექტორ ექიმი ა. დ. ფიშერის მეთაურობით აღძრულ იქნა შუამდგომლობა ად. მთავრობის წინაშე, რათა გაეღოთ საერობო თანხიდან საკმაო კრედიტი საკუთარი შენობის ასაშენებლად. ინჟინერი როგოისკიმ თან შეადგინა შენობისთვის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა; აშენება მიენდო განსაკუთრებული კომისიას ექიმი ვიხრევის თავმჯდომარეობით. 1911 წელს შენობას ჩაეყარა საძირკველი და 1915 წ. ის უკვე დამთავრებულ იქნა. ახალი შენობა საბებიო ინსტიტუტისა შესდგება 3 სართულისაგან და 1 ნახევრად სარდაფიან სართულისაგან; შეიცავს სულ 144 ოთახს 3330 კუბ. საჟ., საკმაო ფართე ეზოთი. აქვს 6 თვალი საოპერაციო ოთახი,—6 სასტერილიზაციო,—5 სამშობიარო,—5 აბანოები დიდებისთვის და 12 ახლად დაბადებულთათვის. გარდა ამისა ათეული პალატები ავადმყოფებისთვის. იატაკი ნაწილი პარკეტიანია და ნაწილი მოზაიკური. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული წყალსადენს და სანიტარულ—ჰიგიენურ მხარეებს. განათება ელექტრონულია და გათბობა ცენტრალური ორთქლით. გარდა ამისა აქვს კიდევ 2 ლიფტი—ერთი სამეანო განყოფილებისთვის და მეორე გინეკოლოგიურისთვის. 1920 წ. შენობის ნაწილი გამოყოფილი იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეანო და გინეკოლოგიურ კლინიკებისთვის. იქვე ახლოს აქვს კიდევ მეორე შენობა, სადაც მოთავსებულია საბებიო სკოლა და ბინა ზოგიერთ მოსამსახურეებისთვის. თვით საბებიო ინსტიტუტს, კლინიკების გარდა, აქვს განყოფილებები: სამეანო, გინეკოლოგიური, ლაზარეთი სეპტიურ ავადმყოფთათვის და სკოლა. მოწაფე ბებიებისთვის დაწესებულებაში შემოღებულია აგრეთვე 2 წ. საექიმო სტაჟი ამ დარგში სპეციალობის მისაღებად. ამ უკანასკნელთა რიცხვი დღემდე 100 აღემატება, რომელთა შორის ზოგიერთ მათგანს დღეს თვალსაჩინო ალაგი უკავიათ როგორც თბილისში, ისე სხვა და სხვა კუთხეებში ამიერკავკასიისა. დღიდან დაარსებისა, ვიდრე დღემდე ე. ი. ამ 50 წლის განმავლობაში საბებიო ინსტიტუტში დახმარება მიუღია მარტო სამეანო განყოფილებაში 57,000, მათ შორის მომშობიარებულა 53,900 საბებიო ოპერაციები გაკეთებულა 21,000 შემთხვევაში.

სამეანო განყოფილების გამგეა ფრიად დახელოვნებული ექიმი ი. ი. მეფისაშვილი.

გინეკოლოგიურ განყოფილების მუშაობა გამოიხატება შემდეგში: ამ ხნის განმავლობაში სულ ავადმყოფი ყოფილა 9,000, მათ შორის პატარა ოპერაციები გაკეთებულა 8,500 შემთხვევაში, და მუცლის გაკვეთა—1,700. გინეკოლოგიურ განყოფილების გამგეა ექიმი ი. წ. თუმანიშვილი გამოცდილი სპეციალისტი და დოსტაქარი ქალთა ავადმყოფობისა. ამავე დროს ესენი კითხულობენ ლექციებს საბებიო კურსებზედაც. დღიდან საბებიო კურსების გახსნისა, ე. ი. —1875 წ. დღემდე, სკოლამ გამოუშვა სულ 1572 საკმაოთ მომზადებული ბებია ქალები. სწავლა 1919 წლამდი სწარმოებდა მხოლოდ რუსულ ენაზე; 1919—1922 წ. კი ქართულად და 1922 წ. გაიხსნა კიდევ პარალელური კურსები ქართულის არა მცოდნე ელემენტებისთვის რუსულ ენაზე. 1922 წ. საბებიო კურსებზე მიწვეულია ლექციების საკითხავად ექიმი მ. კ. იოსელიანი. მთელ ამ ვეებერთელა დაწესებულებას სათავეში უდგას დირექტორი ექიმი ე. მ. სობესტიანსკი, რომლის საექიმო მოღვაწეობას საბებიო ინსტიტუტის კედლებში აქვს 25 წლის ისტორია (ისე კი 30 წ) ექიმი სობესტიანსკის სახელი, როგორც საუკეთესო დოსტაქარის და სპეციალისტ აკუშორ-გინეკოლოგის, ცნობილია უფრო შორს, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკა—მას აქვს საკმაო რიცხვი მეცნიერულ შრომებისა და გამოკვლევებისა. საბებიო ინსტიტუტის იუბილესთან ჩვენ ვიხდით აგრეთვე (27 მაისს) მის 25 წლის საექიმო მოღვაწეობის იუბილესაც. ჯერ კიდევ ორდინატორს, მერე კი დირექტორს (1919 წ) ექიმ სობესტიანსკის თამამად შეუძლია იამაყოს თავისი ნაყოფიერი მუშაობით. მისი კვირცხლი გონების და ორგანიზატორულ ნიჭის შედეგია სწორედ ის საავადმყოფო—საუნჯე, რომელიც ჩვენ გვაქვს დღეს საბებიო ინსტიტუტის სახით, რომელიც არ ჩამოუვარდება საზღვარ გარეთელ დიდი ქალაქების ზოგიერთ თანაბარ დაწესებულებებს. ჩვენ სიამოვნებით ავღნიშნავთ ამ საზეიმო დღესასწაულს და ვუსურვებთ მის გამგეს, ამ დღეს აგრეთვე იუბილიარს, ექიმ ე. გ. სობესტიანსკის, კიდევ გაორკეცებულ ენერგიით გაძღოლოდეს შემდეგშიც მის მიერ დაარსებულ დაწესებულებას.

ლ. დ.

საკურორტო სამმართველოში

სხვა და სხვა თხოვნების გამრჩევი კომისია.

ოთახების დათმობისა და საიჯარო გაცემათა შესახებ ყოველგვარ განცხადებათა განსახილველად და გასარჩევად, შესდგა სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან თავმჯდომარედ: ჯან. სახ. კომ. რწმუნებული ი. ფრანგულიანი, წევრებად: ფინანს. განყ. გამგე ჩხუბიანი და საინფორმაციო ბიუროს გამგე ი. ს. ტყეშელაშვილი (მდივანი).

აგარაკ მანგლისის გამგე.

მანგლისის აგარაკის მეურნეობის გამგეთ დაინიშნა ამხ. ცურინოვი.

ბორჯომის საწყობები.

საკურორტო სამმართველოს უწყებაში მყოფი ყველა საწყობები ბორჯომში ერთიანდება ერთ ცენტრალურ საწყობში, რის გამოც ხდება მოსამსახურეთა შტატის შემცირება.

ბორჯომის კომენდანტების ფუნქცია გაფართოვდა.

ბორჯომის სასახლეების კომენდანტებს დაევალათ ყველა იმ შენობების, მიწის ნაკვეთების, ბაღების და ბოსტნების გამგეობა, რომელნიც აღნიშნულ სასახლეთა მიდამოებში მდებარეობენ.

პეშკეს გადაცემა კავ. ც. არ.

კავკასიის ცალკე არმიის საპიროთა ბატალიონს 150 მან. ოქროთ მთელ სეზონის განმავლობაში გადაეცა აგარაკი პეშკე ახალ დაბაში.

მამკოტის მონასტერი ამერიკულ კომიტეტს.

სოფ. მამკოტის მონასტერი, როგორც არა სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტი, არ შედის საკურორტო სამმართველოს უწყებაში, და როგორც ასეთი, გადაეცემა ამერიკულ კომიტეტებს საბავშო კოლონიის მოსაწყობად მათი თხოვნის თანახმად.

ხელშეკრულება ქიმიკოსთა კავშირთან.

ბორჯომის საკურორტო სამმართველოსა და ქიმიკოსთა ცენტ. პროფკავშირს შორის დადებული კოლექტიური სატარიფო ხელშეკრულება მთავარმა სამმართველომ დაამტკიცა.

საბინაო კომისიის დადგენილება.

საბინაო კომისიის დადგენილება ყოფილ მესაკუთრეებისთვის აგარაკების დაბრუნების შესახებ, სამმართველოს კოლეგიამ დაამტკიცა.

საკანტროლო გადამრჩევი კომისია.

კურორტებზე სახელმწიფო ხარჯით გასაგზავნ სანატორიულ ავადმყოფების შესამოწმებლად შესდგა საკანტროლო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:

1) სკპ. ცეკას წარმომადგენელი ამხ. მასხულია. 2) სცპ. კავშირის წარმომადგენელი ამხ. მაჩაიძე. 3) ჯან. სახ. კომ. წარმ.—ქამალოვი. სპეციალისტები: 4) ექ. აბიანცი. 5) ექ. დემიდოვი. 6) ექ. ყიფიანი.

გადამრჩევი კომისიის მუშაობის დასაწყისი.

საკანტროლო გადამრჩევი კომისია კოლეგიის დადგენილებით მუშაობას დაიწყებს 25 მაისიდან მიხაილოვის საავადმყოფოში.

საზაფხულო სეზონისათვის მოსამსახურეთა მიმღები საშტატო კომისია.

შესდგა მიმდინარე საზაფხულო სეზონისათვის საჭირო მოსამსახურეების მისაღებად სპეციალური საშტატო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან შემდეგი დაწესებულებების წარმომადგენელნი: ცეკასი, საქ. პროფკავშირის, ჯან.-სახ. კომისრ. და სამმართველოს კოლეგიის წევრები. ჯან. სახ. კომის. რწმუნებულის თავმჯდომარეობით.

აგარაკი ახტალა.

სამმართველოს დადგენილების თანახმად, სანიტარული დაცვის მიზნით შემოიფარგლა აგარაკ-ახტალას საზღვრები.

1) ეუწყა ცეკავშირს, რომ მის განკარგულებაში სანერგეს ქვევით მდებარე მიწის ნაკვეთი შედის აგარაკ ახტალას სამთო-სანიტარულ დაცვის საზღვრებში და სამმართველოს მიერ განკუთვნილია საკუთარი საჭიროებისათვის.

2) მიღებულია ზომები კურორტ ახტალას მინდვრებს და სათიბებში საქონლის საძოვრად შეშვების აღსაკვეთად.

3) შარა გზიდან ტალახებამდე ახალი გზის გაყვანის პროექტი სამმართველოს მიერ დამტკიცებულია.

4) მიეცა მშენებლობით-ტეხნიკურ განყოფილებას ახტალის აღსადგენად და მოსაწყობად მიეცა 1 მილიარდი 600 მილიონი მანეთი.

მანქანას ამუშავება.

სამმართველოს ელექტრ. ქვეგანყოფილების ტეხნიკურ მუშაობის მაცადინობით და ადგილობრივ მუშების დაუღალავი შრომით ამუშავდა 7-8 წლის განმავლობაში უქმად მყოფი ელექტრ. მანქანა გიგანტი „პოლიარ დიზელი“ ბორჯომში.

ქვების საკითხი კურორტებზე.

მთავარმა საქ. სამმართველომ ზომები მიიღო ბორჯომსა და აბასთუმანში ძირითად საკვებ-პროდუქტების გასაიაფებლად. ა.-კ. სასურ. სახ. კომ. სამმართველოს მისცა იაფ ფასებში 6 ვაგონი ფქვილი. ხელშეკრულებანი საკვები პროდუქტების მიწოდების შესახებ იდება ადგილობრივ კოოპერატივებთან. ძირითადი პროდუქტები მზადდება ტფილისში და იგზავნება დანიშნულებისამებრ აგარაკებზე.

მიწის რეფორმის გარშემო

შორს ჩირქის მომცხებნი!

(სოფ. ილემი, შორაპნის მაზრა).

ამ ერთი თვის წინად მოხდა 1900 წელში დაბადებულთა გაშვება წითელი ჯარიდან და მათ რიცხვში მოვხდი მეც. როდესაც სოფელში ჩავედი, ჩემი ყურადღება მიიპყრო სოფლის მიწად-მოქმედების კომისიის ნამოქმედარმა, რომელსაც საქმე კარგათ ვერ დაუყენებია: ზოგიერთისთვის სულ ჩამოურთმევიათ ყველაფერი და, ზოგს კი სულაც არ შეხებიან. სხვათა შორის უნდა აღვნიშნო, რომ ჩამორთმეულ მიწებიდან ვენახები და საუკეთესო მიწები პირველ რიგში თვითონ მიუსაკუთრებიათ კომისიის წევრებს და დარჩენილ უვარგის ფხეკებს ხან ერთ გლეხს მიუგდებენ და ხან მეორეს, რაც იწვევს ხალხში უკმაყოფილებას. თუ ვინმემ ხმა ამოიღო, მას ემუქრებიან და აშინებენ. მე როცა შევნიშნე მათი ასეთი მოქმედება, მაშინვე განვუცხადე მაზრის მიწად-მოქმედების განყოფილების გამგეს, ამხ. კილაძეს და მან რა ზომები მიიღო,—არ ვიცი. საჭიროა დროზე, სანამ გვიან,—არ არის, გაცოცხილ იქნან კომისიის წევრები—ასეთი უმგვანო ვაჟბატონები, რომლებიც ჩირქს სცხებენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.*)

სამოსწავლო ძირითადი ათასეულის ყოფილი წითელი მოლაშქრე:

დათიკო მდივნიშვილი.

---

*) ჩვენამდი კერძოთ მოღწეულ ხმების თანახმად ასეთ მსგავს შემთხვევებს ჰქონიათ სხვაგანაც აქა-იქ ადგილი. ჩვენ არ გვაქვს საშუალება შევამოწმოთ ახლავე ეს ფაქტები და მივუთითებთ ამაზე ადგილობრივ ამხანაგებს, მაგრამ თუ ასეთი ბოროტმოქმედება მართლა დაშვებული იყო, საჭიროა საქმის სასწრაფო გამოძიება და დამნაშავეთა სასტიკ პასუხისგებაში მიცემა. ის ვაჟბატონები, რომლებიც აბრუნდებენ მიწის რეფორმის აზრს და სახელს უტეხენ გლეხობაში მთავრობას, კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილი უნდა იქნენ. რედაქცია.

პროფკავშირებში

პროფკავშირთა ყრილობის გადადება.

სრ. საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა გადადებულ იქნა. ყრილობის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

უკრაინული დასი.

საქ. ხელოვნების მუშაკთა კავშირმა სთხოვა პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას დაუთმოს უკრაინულ დასს ცენტრალური მუშათა კლუბი კვირაში ორჯერ. დასი ამ ჟამად ბინის უქონლობის გამო დიდ სავიწროვეს განიცდის.

ახალ მსმენელების მიღება მუშათა ფაკულტეტებში.

მუშავდება მუშათა ფაკულტეტებში ახალ მსმენელთა მიღების პირობები. თავისუფალ ადგილების რაოდენობის გამორკვევის შემდეგ დაიწყება მსმენელების მიღება.

განათლების მუშაკთა კავშირში.

დახმარების აღმოჩენა.

განათლების მუშაკთა კავშირმა აპრილის განმავლობაში დახმარება ფულით აღმოუჩინა კავშირის 105 წევრს.

ფონდის შესახებ

პრეზიდიუმმა გამოიმუშავა უმუშევართა ფონდის და ურთიერთ დამხმარე ფონდით ზაფხულში სარგებლობის წესდება.

ულუფა ავადმყოფ წევრთ.

პრეზიდიუმის დადგენილებით მაისის ულუფა ავადმყოფთ მიეცემა ფულით, ულუფები გადიდებულია 100 პროცენტით. განაწილება მოხდება რაიადგილკომების საშუალებით.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

ტფილისის რაიონის რკინის გზის მუშებისათვის გახსნილია 72 სკოლა, სადაც 1539 კაცი სწავლობს. ყველა წერა-კითხვის უცოდინარი პროფესიონალური დისციპლინის წესით ვალდებულია იმეცადინოს. სკოლები ქართულ სახელმძღვანელოების დიდ ნაკლულოვანებას განიცდიან.

რუსულ მუშათა ფაკულტეტებზე

დასრულდა მსმენელთა სოციალური წმენდა; დათხოვნილია 50 მსმენელი, აქედან მუშები—31, მოსამსახურენი—11, გლეხები—8.

ქრონიკა

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში.

— **ოჯახიანი ინვალიდები** სახ. მზრუნველობის კომისარიატმა დაადგინა სამხედრო ინვალიდების სახლი განთავისუფლოს ოჯახიანი ინვალიდებისაგან და ჩაასახლონ მათთვის სპეციალურათ მოწყობილ სახლში.

— **აბანოები ინვალიდებისათვის.** სახ. მზრუნველობის კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა ვისთანაც ჯერ არს, რათა ინვალიდებს დაეთმოთ უფასოთ აბანოები თვეში ერთხელ.

— **საავადმყოფო.** სოც. უზრ. კომისარიატმა დაადგინა მოაწყოს უფასო საავადმყოფო დაჭრილ-დასახიჩრებულთათვის.

დასახიჩრებულთა შემოწმება. სოც. უზრ. კომისარიატმა დაადგინა შემოწმებულ იქნენ ომში-დაჭრილ დასახიჩრებულნი და მოხდეს მათი დაყოფა 6 ხარისხით, რომლის მიხედვით მიეცეს სოციალური დახმარება. შემოწმება მოხდება ჯანმრთ. კომ. საგანგებო კომისიის მონაწილეობით.

მუშათა ცხოვრება

დღეს, 27 მაისს, დილის 10 საათზე დანიშნულია ჩვენი გაზეთის თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მორიგი კრება გაზეთ „კომუნისტი“-ს ბინაზე

(კრუზენშტეინის ქ., № 4, სართული—3).

ქუჩაში.

პირველი ვაჭარი.

გუშინ მსუქან კაცს მსუქანმა კაცმა
ჰკითხა:—თუ რამე იცი, მითხარო?
რად მინდა ჩუმად სმა-ჭამა, ჩაცმა,
ცოცხალმა მიწა ამოვითხარო?!

მეგონა ახლა მოგველის შვილი,
ომს დაიწყებდა დიდი ინგლისი,
სულ გადავმალე, რაც მქონდა ყველა,
ავახმაურე მთელი თბილისი!...

ნეტა რას ფიქრობს ან საფრანგეთი?!
რისთვის გვივიწყებს ძველი ევროპა?!
ნუ თუ აშინებთ მათ არაბეთი,
რადგან რუსეთმა იქაც შეტოპა?!

მეორე ვაჭარი.

— რა გითხრა, ძმაო, მეც შენ დღეში ვარ,
ან რა ვიყიდო, ან რა გავყიდო?!
დარდისგან სახლში აღარ შევდივარ,
ლამის ცოლშვილსაც ბარგი ავკიდო!

ალბად მტკვარს ერთვის ახლა რიონი!
ვილა გვაღირსებს ნარდსა და ბანქოს!!
წახდა, დაირღვა წმინდა სიონი!
ვაი, თუ ვანქმაც ველარ ივანქოს!!!

ნულარას მეტყვი, აღარას გეტყვი,
ორივ გავჩუმდეთ ის გვირჩევნია,
გამოვიტანოთ ჩვენი ნასეტყვი
ვიდრე სულ ოხრად არ დაგვრჩენია!...

მუშის პასუხი.

მართალი არის, რასაც თქვენ ამბობთ.—
მუშამ მიარტყა სიტყვა ნაფეთქი.—
თუ ომი ატყდა, თქვენვე დაგამხობთ
ჩვენი ყუმბარის გადმონახეთქი!

მოკვდა დრო, როცა ბრძოლის მიდამო
ხელში ეკავათ კაპიტალისტებს,
დღეს [illegible] შრომის დინამო
და მანქანებად იქ ვადნობთ ხიშტებს:

არ გვინდა ომი, არ გვიყვარს სისხლი,
ჩვენ ვეტრფით მხოლოდ ბორბლების ტრიალს,
მაგრამ თუ ვინმემ გაბედა წიხლი,
გავაორკესტრებთ ზარბაზნის გრიალს!...

ახლა ჩაქუჩი, ურო, ნამგალი,
ტყვია-წამალიც მუშის ხელშია.
შორს თქვენისთანა ყველა ანგალი!
გველების ბინა ისევ ხვრელშია!!.

მუშა გიგო ხეჩუაშვილი.

სამარცხვინო მოვლენა.

(რკინის გზის ცხოვრებიდან).

რკინის გზის სამმართველოში მუშაობს 250 ახალგაზრდა მუშა-თანამშრომელი. (16—23 წლამდე). მთელი მათი მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ მოვიდნენ სამსახურში დილის 9 საათზე, ჯერ თავის საქმეს ვაი ვაგლახით შეუდგენ, დაბოლოს, მუშაობის შემდეგ, 3 საათზე დაუგვიანებლათ სახლებში სასწრაფოდ დაბრუნდნენ. გასაკვირია ეხლანდელ დროს ახალგაზრდობის ასეთი ცხოვრება! ახალგაზრდობა იყო ის ელემენტი, რომელმაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო რევოლიუციაში. აქ კი სულ სხვა სურათს ვხედავთ:—ახალგაზრდობის უმეტეს ნაწილს ახასიათებს სრული გულგრილობა თანამედროვე მოვლენებისადმი. მათ არ აინტერესებთ პოლიტიკური საკითხები, კრებები, წრეები და სხვა. მე მგონია, დროა, დაივიწყოს ჩვენმა ახალგაზრდობამ მომაკვდინებელი ძველი „კანცელიარშჩინა“, დაესწროს ხშირად კრებებს, ჩაეწეროს წრეებში, გამოიჩინოს მეტი ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი და სხვა. ვიმეორებ, სამარცხვინოა ის გულგრილობა, რომლითაც შეპყრობილ არიან რკინის გზის სამმართველოს მუშა-ახალგაზრდები. საჭიროა, ადგილობრივმა კომიაჩეიკამ, ადგილკომმა და პროფ-კავშირმა ამ გარემოებას მიაქციოს სათანადო ყურადღება.

მუშკორი ვასილიევი.

მუშკორების კლუბი

ბეჭდვითი საქმის მუშაკთა და მუშკორების კლუბის მოწყობა სწრაფი ნაბიჯით მიმდინარეობს. უკვე გამომუშავებულია და დამტკიცებული კლუბის წესდება, რომლის თანახმად კლუბი წითელი ყავახანის ხასიათის იქნება. საერთო დარბაზის ყავახანის გვერდით მდებარე სხვა ოთახებში იწარმოებს სექციური მუშაობა და წაიკითხება ლექციები მუშკორების მოსამზადებლად. ყავახანაში ამხ. ამხ. მუშკორები და ლიტერატ.-მუშაკები დაისვენებენ ფინჯან-ჩაიზე და ამავე დროს გამართავენ ზოგადი ხასიათის საუბრებს მიმდინარე მომენტის მიერ წამოყენებულ საკითხებზე და საგაზეთო საქმეებზე. ერთი სიტყვით, წითელი ტრაქტირი იქნება დასასვენებელი კერა მუშა-კორესპონდენტებისთვის. კლუბში მუშკორები შეიძენენ არა მარტო თეორეტიულ ცოდნას, არამედ დაისვენებენ და გაერთობიან კიდევაც.

ქალაქის აღმასკომის კომ. განყოფილების გამგე ამხ. ელენტი, კლუბის მომწყობ ბიუროს რწმუნებულს დაჰპირდა 4 დღის განმავლობაში გადაეცა კლუბისათვის მიზანში ამორჩეული შენობა, მაგრამ სამწუხაროდ ელენტმა თავისი დაპირება ვერ შეასრულა. ამ საქმის მოგვარებას ხელს უწყობს სრ საქ. კომპ. ცეკას აგიტპროპის განყოფილება. განზრახულია გადაეცეს საორგანიზ. ბიუროს კლუბის მოსაწყობად რამოდენიმე ოთახი ხელოვნების სასახლეში.

მუშკორი ლ. მ

სადგ. თბილისის მუშებში

22 მაისს თბილისის საქ. სადგურის მე-8 კომ-უჯრედის მეთაურობით იქნა მოწვეული კრება წერა-კითხვის უცოდინარ მუშებისა. კრებას ხსნის ადგკომის თავჯდომარე ვ. ანთიძე კრებას დაესწრო ახლად მოწვეული, საკმაოდ გამოცდილი მასწავლებელი კ. თედორაძე. მოხსენებას აკეთებს ქალაქის აღმასკომის პოლიტგანყოფილების ინსტრუქტორი ამხ. გოგიჩაიშვილი, რომელიც აცნობს მუშებს, რამდენად საჭირო და აუცილებელია მუშათა კლასისათვის სწავლა-განათლება.

ამისათვის ჩვენ გვაქვს მრავალი სასწავლებლები გახსნილი, როგორც დაბალი, ისე მაღალიც. ჩვენ გვინდა მოვსპოთ ხალხში შეუგნებლობა და უმეცრობა. სამწუხაროდ, მუშები ალაგალაგ ამ მხრივ ვერ იჩენენ საკმაო ენერგიას ამ საქმეში. საბჭოთა მთავრობის მიზანია არ დარჩეს არც ერთი მუშა, რომელმაც არ იცოდეს წერა-კითხვა. ვინც დღეს სკოლაში ჩაწერილია, მან უნდა იცოდეს რა მოვალეობა აწევს მას. სწავლის კურსი იქნება. მხოლოდ ექვსი თვე. ამ ექვს თვეში თუ სისტემატიურათ იმეცადინებენ, მუშები, ისინი წერა-კითხვას საკმაოდ შეისწავლიან

შემდეგში კი ვისაც ესურვება და აღმოაჩნდება საკმაო ნიჭი, ისინი იქნებიან უმაღლეს საფეხურის სასწავლებელში გაგზავნილი. ამგვარად მუყაითი მეცადინეობით და სწავლით ახლო მომავალში მუშები შესძლებენ სახელმწიფო აღმშენებლობის სათავეში ჩადგომას და შეცვლიან, იმ პირებს, რომელთაც ეწოდებათ „ძველი ჩინოვნიკები“ და მუშურ-გლეხურ მთავრობას ვერ ურიგდებიან და ზოგიერთ შემთხვევებშიც კი ჰლალატობენ მას მაგრამ მუშათა განათლება მოსპობს მათ და ადგილზე მუშათა რიგები ჩადგებიან. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, არის სკოლები, სადაც მუშები ორგულად ეკიდებიან სწავლის საქმეს ასეთ მუშებს არ უნდა ქონდეთ ადგილი სასწავლებელში და არც სამსახურში,—უმეტესად კი ახალგაზრდობას. სწავლის ხარჯებს კისრულობს პროფორგანოები, რომელიც დაინტერესებულია ამ საქმეში. საჭიროა მუშები ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ მათთვის სწავლა-განათლების აუცილებლობაში. შემდეგ გოგიჩაშვილმა, ილაპარაკა თეატრზე და ხელოვნებაზე, რაც მეტად საინტერესო იყო მუშებისათვის სასურველია ამ გვარი ლექციები ხშირად იმართებოდეს მუშებში.

მუშკორი ხიდიხთაველი.

მუშათა ქრონიკა

— **საიჯარო გადასახადის შემცირება მუშათა კოოპერატივებზე.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მუშ.-კოოპერატივებს საიჯარო გადასახადი 50 პროცენტით შეუმცირდეს.

— **აგარაკი კომუნალური მეურნეობის მუშებისთვის.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა კომუნალური მეურნეობის მუშებს გადასცეს ერთი აგარაკი.

— **პროლეტ-კულტის ტეხნიკუმის მოწაფეთათვის სტიპენდიების დაწესება.** სახ.-გან. კომმა პროლეტ-კულტის ტეხნიკუმის მოწაფეთათვის დააწესა—165 სტიპენდია.

— **შრომის ექსპლოატატორების გასამართლება.** შრომის ინსპექტორმა პასუხისგებაში მისცა და ოქმი შეუყენა შემდეგ ვაჭრებს: **სასადილოს პატრონს—სტეფანოვს** და იოსებ აჯიმამუდოვს (ლეკების შესახვევი) იმის გამო, რომ მათ მიერ ორი მუშის მიმართ არ იყო დაცული 8 საათის სამუშაო დრო; იგივე მუშები არ იყვნენ დაზღვეულ და მათ არც საანგარიშო წიგნაკები აღმოაჩნდათ. სასადილოში არ აღმოჩნდა აგრეთვე შინაგან მოწესრიგების წესები.

— **წუღების სამკერვალოს პატრონს ირაკლი ხარალამბოვს.** იმის გამო, რომ მას არ ჰყავდა დაზღვეული მოზარდი მარკაროვი, რომელსაც არც საანგარიშო წიგნაკი აღმოაჩნდა.

— **აზიურ ფეხსაცმელების სამკერვალოს პატრონთ გიორგობიანსა და ჯაფარიძეს** (სომხის ბაზ. № 58) რომელთა სახელოსნოში მუშაობდა მოზარდი ხელოსანი მუსელიანი. ეს უკანასკნელი არ იყო დაზღვეული და მას არც საანგარიშო წიგნაკი ჰქონებია.

დამზღვევ კასაში.

— **დახმარება.** დამზღვევ კასის გამგეობამ დაადგინა მისცეს სამკურნალო ქვეგანყოფილებას 250 მან ოქრო, ძუძუმწოვარა ბავშების საკონსულტაციო ხარჯების დასაფარავად.

განათლების კომისარიატში.

— **კონფერენცია.** 30 მაისს ქ. ტფილისში გაიმართება სასკოლო ასაკამდე აღზრდის დაწესებულებების ხელმძღვანელთა კონფერენცია.

კოოპერაცია

— **ბორჯომის წყლის ექსპორტი.** ამ დღეებში ცეკავშირმა საკუთარი გემით „საქართველოს კოოპერაციით“ შავი და აზოვის ზღვის ქალაქებში გაგზავნა 80,000 ბოთლი ბორჯომის წყალი. უახლოეს ხანში ამდენივე რიცხვი გაიგზავნება ბაქოში ვოლგის ნაპირებისაკენ. დღეში მზადდება ერთი ვაგონი ბორჯომის წყალი, რომელიც გასაყიდლათ ცეკავშირს გააქვს რუსეთში, რის მთავარი კანტორა იმყოფება მოსკოვში.

რკინის გზაზე

— **ფასების დაკლება სამანუფაქტურო საქონელზე.** რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეების კოოპერატივის გამგეობამ მოსკოვიდან მიიღო დიდძალი სამანუფაქტურო საქონელი, რომელსაც ჰყიდის თავის წევრებზე შედარებით დაკლებულ ფასებში. საუკეთესო ხარისხის ჩითი იყიდება 22 კაპიკათ არშინი.

— **ყველის, ერბოს და ბრინჯის შეძენა.** კოოპ. გამგეობამ ქ. განჯაში შეიძინა რამდენიმე ასი ფუთი ყველი, ერბო და ბრინჯი, რომელსაც მიიღებს ამ დღეებში და გაუნაწილებს წევრებს დაკლებულ ფასებში.

— **ახალი პლატფორმა.** რკინის გზათა სამმართველომ ნება დართო ანაგის თემის აღმ. კომიტეტს თავის ღონისძიებით ააგოს რკინის გზის პლატფორმა სად. წნორის წყლიდან 14 ვერსის დაშორებით.

გამომცემლობა

— **„ქარხნის ჰანგები“.** გამოვიდა ქართველ პროლეტარულ მწერლების ყოველ კვირეული გაზეთი „ქარხნის ჰანგები“. გაზეთის შინაარსი: ჩვენი სიტყვა—წერილი შ. დ., ლექსი: ქარხნის ჰანგები—სანდრო ეულისა, ქართული მწერლობის ბედი—რაჟდენ კალაძის. პროლეტარული პოეზია—სანქანისა. ლექსები: პეტრე სამსონიძის, ნ. ზომლეთელის და იონა ვაკელის; ფილეტონი მიწასთან დაბრუნების იდეა თუ სიყვარულის აპოლოგია—შ. დუდუჩავასი, ქრონიკა, ბიბლიოგრაფია და სხ.

— **ახალი სახელმძღვანელო.** გამომცემლობამ გამოსცა მე-2 ნაწილის 1-ლი წიგნი, მთლიან შრომის სკოლებში სახელმძღვანელოდ ნიკო შაფაქიძის „თვალსაჩინო-პრაქტიკული გეომეტრია.

— **„ბუნება“.** სახელმწ. გამომცემლობამ გამოსცა ა. ჩხენკელის შრომის სკოლებში სახმარებელი „ბუნება“ —„მცენარეები“, მეორე ნაწილი.

— **პროფ. ქურდიანის წიგნი.** გამოვიდა პროფ. ქურდიანის წიგნი „მეტყობა“ „ენციკლოპედიური კურსი“, წიგნი დასურათებულია და შეიცავს ძვირფას მასალას მეტყობის შესახებ.

კრებები და მოხსენებები

— დღეს. 27 მაისს საღამოს 7 საათზე პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46) შესდგება საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი კრება, სადაც მოხსენებას გააკეთებენ 1. დ. მგელაძე: „რუსული ენის ზოგიერთი ფონეტიკური მოვლენები“, და 2. პროფ. ა. შანიძე: „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“ დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

შრომის ბირჟაში.

— უმუშევართა მოძრაობა. მაისის 23 და 24 შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 1495 უმუშევარი, ჩაეწერა ორი დღის განმავლობაში 324. გაიგზავნა სამუშაოზე,—88, აქედან ქალი 21, მამაკაცი—67.

სხვა და სხვა.

— **საღამო ავიაციის სასარგებლოთ.** დღეს, 27 მაისს ავჭალის წყალსადენში გაიმართება საღამო-სეირნობა, რომლის შემოსავალი გადადებულ იქნება წითელი ავიაციის სასარგებლოთ.

— **მიმოსვლის მოწყობა.** ფინანსთა სახ. კომისარიატმა აღადგინა ავტომობილების მოძრაობა ტფილისიდან—მანგლისამდე, ავტომობილები დადის კვირაში ორჯერ—შაბათობით და ოთხშაბათობით.

შემთხვევები.

— დაპატიმრებულია ანნა ფლაროვა, რომელმაც ძირითად სამოსწავლო პოლკიდან სახაზინო ტანსაცმელი მოიპარა.

— შეპყრობილია ანტონინა ბაბუშკინი, რომელმაც ელენე ლილუაშვილს მოჰპარა ძვირფასი ნივთეულობა.

— შეპყრობილია ლეონ მურდულაძე, რომელმაც გაქურდა მესროპ ამაიანცის ბინა. მურდალაძეს ჩამოერთვა ნაქურდალი ნივთები და გადაეცა პატრონს.

— შეპყრობილია ვერა და ელენა [illegible]შვილები, რომლებმაც გაქურდეს თამარა არსენიშვილის ბინა. ჩამორთმეული ნივთები ჩაბარდა პატრონს.

ხელოვნება

— **აკაკი ფალავას ბენეფისი.** დღეს, რუსთაველის თეატრში რეჟისორ აკაკი ფალავას საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტ“.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახლში გაიმართება მსახიობ ანკარას საღამო. წარმოდგენილი იქნება ანდრეევის „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“.

— **საბავშვო ახალი ოპერა** შალვა თაქთაქიშვილმა დასწერა საბავშო ახალი ოპერა „ყვავილთა შორის“.

— **საბავშვო დილა.** დღეს, მე-22 ე შრომის სკოლაში გაიმართება საბავშვო დილა საკონცერტო განყოფილებით. დასაწყისი დღის 12 საათზე.

— **რევოლიუციონური პიესა „არსენ ჯორჯიაშვილი“.** დაევალა სპეციალურ კომისიას პიესა „არსენ ჯორჯიაშვილის“ გადამუშავება და ახალი მასალებით შესწორება.

— **ნაძალადევის თეატრი.** განათლების კომისარიატის დადგენილებით ყოველ პარასკევობით ნაძალადევის თეატრში აკადემიურ დასის მიერ გაიმართება უფასო წარმოდგენები მუშებისათვის.

— **წარმოდგენის გადადება.** ორშაბათს, 28 მაისისათვის საქ. წითელი ჯვრის სასარგებლოთ დანიშნული წარმოდგენა—**გადადებულია პარასკევ 1-ლ ივნისისათვის.**

— **წუწუნავას საღამო.** ხუთშაბათს 31 მაისს სახელმწიფო ოპერაში სეზონის დასახურავათ იმართება ალ. წუწუნავას საღამო. ეს საღამო გამოსათხოვარი იქნება არტისტებისათვის. მიდის სხვა და სხვა ოპერების საუკეთესო მოქმედებები. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. სხვათა შორის ამ საღამოს გადაცემულ იქნება ოქროს ნიშნები გულზე სატარებლად დამსახურებულ მსახიობ ვასო აბაშიძეზე და მუსიკოსს ია კარგარეთელზე.

პროვინციაში

ბორჯომი.

21 მაისს ქ. ბორჯომში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ამხ. ვოროვსკის მოკვლის და ინგლისის თავხედური ულტიმატუმის გამო.

დღის თორმეტ საათზე შეწყდა მუშაობა ბორჯომის ყველა ქარხნებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში.

ჯგუფებათ დარაზმული მუშები, მოსამსახურენი, „ვსევობუჩი“, ყველა მოწაფენი, მშრომელი მოქალაქენი სიმღერებით, წითელ დროშებით, შესაფერი ლოზუნგებით. გროვდებიან პარტკომ-აღმასკომის შენობასთან.

მრავალრიცხოვან დემონსტრაციამ გაიარა მთავარ ქუჩებზე. გაიმართა მინერალურ წყლების ბაღისაკენ, სადაც მიტინგი გახსნა პარტკომის მდივანმა ამხ. სიამაშვილმა და წარმოსთქვა პირველი სიტყვა. შემდეგ პროფბიუროს სახელით გამოდის ამა. [illegible]ვცოვი, ა. კ. კ. კომიტეტის—ფრ[illegible]გიშვილი, მუშა ქალთა—გუდკოვის[illegible].

ორატორებმა ვრცლად გააშუქეს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა ინგლისის ულტიმატუმსა და ამხ. ვოროვსკის მოკვლასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია მოწაფეთა სახელით პატარა მოწაფის კატინ-იარცევის გამოსვლა, რომლის სიტყვებმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და აღფრთოვანება გამოიწვია განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობაში

გამოტანილ იქნა ასეთი შინაარსის რეზოლიუცია: ინგლისის მთავრობის

მემორანდუმის და ამხ. ვოროვსკის მკვლელობის გამო, მიტინგი აცხადებს სასტიკ პროტესტს.

ჩვენ, მშრომელნი მოუწოდებთ ყველა ქვეყნების მუშებს და მუშა ქალებს უფრო მჭიდროდ დაირაზმონ საერთაშორისო კაპიტალიზმის და ფაშიზმის საწინააღმდეგოთ.

ჩვენ კი ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ თუ ბურჟუაზიამ გამოილაშქრა საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ, ყველანი, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ იარაღით ხელში პროლეტარულ რევოლიუციის მონაპოვარის დასაცავათ და მისი საბოლოო გასამარჯვებლათ.

აგრეთვე საპროტესტო რეზოლიუციები გამოაქვთ თემებში ფართო მშრომელ გლეხებს.

ფორა მუშათაშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 40.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1922 წლის შარაგზით ტვირთზიდვის ხარჯის მოუხდელობისათვის პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ.

რადგანაც შარაგზით ტვირთზიდვის გადასახადის ნატურით შესრულება 1923 წლიდან შეცვლილ იქნა ფულადი გადასახადით, (საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 1923 წ. მარტის 17 თარიღითა და 89 №-ით) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი,—საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1922 წლის დეკემბრის 23 თარიღითა და 63 №-რით გამოცემული დადგენილების შესაცვლელად,—ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სოფლის მოსახლეობა 1922 წელს მოუხდელი შარაგზით ტვირთზიდვის ხარჯის სანაცვლო ფულადი გადასახადისაგან.

2. მოსპობილ იქნეს ყველა,—საგამომძიებლო ორგანოსა და სასამართლო და სააღმინისტრაციო დაწესებულებაში წარმოებული საქმე შარაგზით ტვირთ-ზიდვის გადასახადის შეუსრულებლობის შესახებ.

3. სასამართლო დაწესებულების ყველა განაჩენი და სააღმინისტრაციო ორგანოს ყველა დადგენილება, რომელიც ჯერ წარმართული არ არის აღსასრულებლად, არ უნდა იქმნეს აღსრულებაში მოყვანილი.

4. განთავისუფლებულ იქნენ დანარჩენი სასჯელის მოხდისაგან შარა გზით ტვირთზიდვის გადასახადის შეუსრულებლობისათვის თავისუფლების აღკვეთით ან იძულებითი მუშაობით დასჯილი პირნი; აგრეთვე განთავისუფლებულ იქნენ ფულადი გადასახადისაგანაც.

5. ამა დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება იმ ქონებრივ გადასახადებზე, რაც უკვე აღსრულებაში მოყვანილია ამა დადგენილების გამოქვეყნების დღემდე.

6 ამა დადგენილების შეფარდება იმ პირთა შესახებ, რომელნიც უკვე იხდიან სასჯელს, დაეკისროს იმ სასამართლო ან სხვა დაწესებულებას, რომლის განაჩენითაც თუ დადგენილებით ზემოხსენებული პირნი სასჯელს იხდიან.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. მაისის 17.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტული წრეების მეცადინეობის ცხრილი 21 მაისიდან 27 მაისამდე.

— 1. კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათ. 1 საათამდი ამერ-კავკ. საგანგებო კომისიის წრე. ხელ ძღვანელი ლიბახი.

— 2. კვირას, 27 მაისს 11—1 საათ. სახელმწ. უნივერსიტეტის წრე. ხელმძღვანელი ამხ. დუდუჩავა.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაც.-საპროპაგანდო განყოფილება

— საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი იუწყება, რომ კვირას, 27 მაისს ა. წ. ნაშუადღევის 4 საათზე პოლონელ მუშათა კლუბში (ნიკოლოზის ქ. № 59) მოხდება მორიგი კრება პოლონელ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირისა. განსახილველ საკითხთა მნიშვნელოვანების გამო, დასწრება სავალდებულოა: ვინც არ გამოცხადდება. სასტიკ პასუხისგებაში მიიცემა.

საქართველოს კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი ლომიძე.

განცხადებანი

ღრმად დამწუხრებულნი და გულდამწვარნი მეუღლე დათიკო ირაკლის ძე მიქაძე, მამა რევაზი, დედა მარიამი, შვილები სონა, ფეფო, თამარა, ნიკო და კატო გოჯიაშვილები აცნობებენ მეგობრებს, ნაცნობებს და ნათესავებს მათი უძვირფასესი

ელენე მიქაძის

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 27 მაისს, დილის თერთმეტ საათზე. ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან ვერის სასაფლაოზე. მისამართი: პანასევიჩის ქუჩა № 36, მერვე კომისარიატი.

725—1—1

გულდამწვარნი დათიკო ირაკლის ძე მიქაძე, ირაკლი მიხეილის ძე, მარიამ სპირიდონის ასული, ია, შალვა და მერცია მიქაძენი აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს პირველი მეუღლის, მხოლოდ უკანასკნელნი უძვირფასესი რძლის

ელენე მიქაძის

უდროვოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება ვერის სასაფლაოზე. ცხედარს წამოასვენებენ ბინიდან კვირას, 27 მაისს, დილის 11 საათზე. მისამართი—პანასევიჩის ქუჩა № 36, მერვე კომისარიატი.

716—1—1

ანასტასია ოქროპირის ასული და არეთი ნიკოლოზის ასული გოგოლაშვილები გაზრდილებით უღრმესს მადლობას უძღვნიან ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც პირადის დასწრებით თუ ტელეგრამით მონაწილეობა მიიღეს ჩვენს მწუხარებაში პირველის ძვირფასის მეუღლის და მეორეს საყვარელის შვილის

ივლიანე ნესტორის ძე გოგოლაშვილის

გარდაცვალების გამო.

779—1—1

რუსთაველის თეატრი

დღეს, 27 მაისს,

აკაკი ფაღავას ბენეფისი

ჰამლეტი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 405—1—1

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 27 მაისს,

კარმენი

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

კრ. 409—1—1

საქართ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალურ კანტორისაგან

(ყოფ. გაზტრესტი), რუსთაველის პროსპ. № 26. ტელეფ. № 5—43.

ივნისის თვეში გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია შემდეგი ფასები შინ მიტანით:

საერთო ხელის მოწერა	1.250.000
კოლექტიური ხელის მოწერა მხოლოდ მუშებისათვის	800.000
ერთი ეგზემპლიარი	50.000

ცენტრალური კანტორა სთხოვს ყველა ხელის მომწერლებს 1 ივნისამდის შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთი ნისიად არავის არ გაეგზავნება.

6—4

ტფილისის აღმასკომის სადგილ-მამულო განყოფ.

აძლევს იჯარით 1923 წლ. ხილის მოსავალს რიცხვით 1440 საადრევო საუკეთესო ხეებს: (ბალი, ალუბალი, ატამი, ჭერამი, ქლიავი, ალუჩა, მსხალი, ნუში, ლეღვი, კომში, კაკალი და სხვა), ეოფილ მანთაშევის მამულში, მდებარე ვარანცოვის ქუჩაზე № 125.

პირობების გაგება შეიძლება განყოფ. კანცელარიაში აღმასკომის შენობა, ოთახი № 52, მამულში კი მამულების გამგესთან. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია კვირას, 27 მაისს, 10 საათზე მამულში.

კრ. 413 3—3 **სადგილ-მამულო განყოფილება.**

Центральная Контора Партийно-Советской прессы Грузии.

(бывший Газтрест), просп. Руставели № 26.

доводит до всеобщего сведения, что принимается подписка на все

Московские и Петроградские газеты и журналы

с доставкой на дом. Контора наладила вполне прочную и систематическую связь с Москвой и она ручается за своевременную и аккуратную доставку газет и журналов. Все газеты и журналы в розницу требовать ежедневно от газетчиков г. Тифлиса.

6—4

ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი სასწრაფოდ იწვევს სამსახურში

მთავარ ბუღალტერს

ბუღალტერიის ორმაგი იტალიური სისტემით მცოდნეს ქართულ ენაზე და გამოცდილს ქალაქის სამეურნეო საქმეებში.

მსურველს პირობებისათვის შეუძლია მიმართოს აღმასკომს პირადად, აგრეთვე წერილობით-ფოსტით და დეპეშით, ამასთანავე მანვე უნდა მოგვაწოდოს თავისი სამსახურის პირობებიც.

687—3—3 **აღმასკომის პრეზიდიუმი.**

განცხადება

მდ. რიონის ჩრდილოეთ ტოტზე, ქ. ფოთში, შენდება ორმოცდა ათი საჟენიანი რკინა-ბეტონის ხიდი.

66 მარგილიდან (ბოძი) ოცდა ათი ჩასობილია წყალში. ამა მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს მთელი მუშაობა საიჯარო წესით.

ფოთის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

იწვევს

ამ ხიდის გამკეთებელ მოიჯარადრეს

კონდიციების და ყოველივე პირობების განხილვა მსურველს შეუძლია ფოთის აღმასკომში ყოველდღე, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის, გარდა უქმე დღეებისა.

№ 687 (3—3 **აღმასკომის პრეზიდიუმი.**

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რინტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (501—25—11)

ქ. თბ. მე-2-ე რაიონის სახალხო მოსამართლე

იწვევს სახალხო სასამართლოში ეკატერინე ვლადიმერის ასულ ზახაროვას, დაბადებით რიხტერ, როგორც მოპასუხე მის ქმართან ნიკოლოზ ვასილის ძე ზახაროვთან მიერ განცხადებულ საჩივარზე მათი განქორწინების შესახებ და აფრთხილებს მას, რომ თუ ის ორი თვის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნების არ გამოცხადდება დანიშნული იქნება საქმე და გამოტანილი დაუსწრებელი დადგენილება.

717—1—1

მე-10 რაიონის სახალხო სასამართლო

(ტურგენევის ქ. № 4)

იწვევს, ამ განცხადების დაბეჭდვიდან ორი თვის განმავლობაში, მოქ. ვიქტორ ივანეს ძე მაკაროვს, როგორც მოპასუხეს მამონტი დიმიტრის ძე ანთაძის მიერ მის წინააღმდეგ 21,800,000 მან. თანხის საჩივარის წარდგენის საქმეზე. თუ მოპასუხე მაკაროვი არ გამოცხადდება, საქმე დაინიშნება გასარჩევად არსებითად და გადაწყდება მოპასუხის დაუსწრებლად.

(1—1)

დაიკარგა პასპორტი, სამხედრო სააღრიცხვო ბარათი, პროფკავშირის წიგნაკი ქორწინების ბარათი მსახიობი ალექსანდრე გუგუშვილი.

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი № 332 სერგო გაგუაშვილისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

718

დაიკარგა ხელოვნების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 1986 ლიუბოვ შეინმანის სახელობისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

717

დაიკარგა **გიორგი მიხეილის ძე ჯაბადარმა**, სამხედრო სააღრიცხვო სარეგისტრაციო ბილეთი; ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ. განყოფილების მე-2 სტამბიდან მოცემული პირადობის მოწმობა; საქართველოს კომუნისტურ პარტიის ტფილისის სარაიონო ორგანიზაციის სამთვიური კრების საანგარიშო ბარათი (**сводка партобязанностей**) ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა გმჩის მიერ ა. | წ. 5 თებერვალს მოცემული მოწმობა № 390 | 1500 მეითი კული გუსეინ ზადეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 სტრ. 1—1 № 722.

დაიკარგა პასპორტი და სარეგისტრაციო ფურცელი № 7041 ნიკოლოზ ჯაკინოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 სტრ. 1—1 № 720.

დაიკარგა სახლის წიგნი, 10 რაიონის გოგოლის ქუჩა, სახლი № 61, სახლის პატრონი კონსტანტინე ინაშვილი. ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 სტრ. 1—1 № 721.

დაიკარგა რკინის გზების სამმართველოს კულტ-განყოფილების მიერ მოცემული პირადობის მოწმობა რკინის გზის 7 შრომის სკოლის მასწავლებლის ვ. პ. ხეთაგურის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

10 სტრ. № 723.

ს. ს. ს. რ. ჯ. ს. ქ.

მთავარი საკურორტო სამმართველო

ამით აცხადებს იმ ავადმყოფთა საყურადღებოთ, რომელთაც სურთ მათი ჯანმრთელობის გამო იქნენ გაგზავნილი სახელმწიფო კურორტებზედ, რომ ამა 1923 წლის 28 მაისის დილის 10 საათიდან სანიტარო საკურორტო გადამრჩევი კომისია იწყებს მუშაობას რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის საავადმყოფო) ამბულატორიის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.). განცხადებები რაიონის ექიმის ავადმყოფობის მოწმობით, ადგილკომისა და პროფკავშირების უნდა იქნენ წარმოდგენილი 25 მაისიდან არა უგვიანეს 5 ივნისის.

ორშაბათს, 28 მაისს გამოცხადდებიან შესამოწმებლად ის პირნი, რომელთა გვარიც იწყება ანბანით ა, ბ, გ, გ, დ, და სხვა დამატებითი განცხადებები გამოცხადებული იქნება კომისიის შენობაში.

(კრ. 416—3—2)

ს. ს. ს. ჯანმრთელ. სახ. კომისარიატი

მთავარ საკურორტო სამმართველო

ტფილისი, საპიორის ქუჩა № 30, ტელ. № 10-19.

საქართველოს სახელმწიფო ყველა კურორტებზე მსურველებს შეუძლიან მიიღონ ქირით ოთახები. საგარაკო ოთახები დაყოფილია სამ კატეგორიათ: ოთახები **1-ლ კატეგორიის შეფასებულია მთელი სეზონის განმავლობაში თითო კვადრატიული არშინი 80 კაპ. ოქროთი, მე-2 კატეგორიის—60 კაპ. ოქროთი და მე-3—40 კაპ. ოქროთი. პროფკავშირების წევრებს ეძლევათ შეღავათი 50 პრ. დაკლებით.** ყველას ოთახები ეძლევათ უავეჯულოთ. (წაღვერში, ბორჯომში და მანგლისში თავისუფალი ოთახები არ არის) მსურველებს შემოაქვთ განცხადებები მთავარ საკურორტო სამმართველოს ცნობის ბიუროს განყოფილებაში 100.000 მან. სადერბო მარკის გადახდით სამუშაო დღეებში 12 საათიდან 2 საათამდე დღისა.

განცხადებანი მიიღება 10 ივნისამდე.

(კრ. 397. 3 3).

სახალხო მოსამართლე ქ. თბილისის მე-3 უბნისა

იწვევს ალექსანდრე ვლადიმერის ძე ზეილიგერს ზემოაღნიშნული უბნის სახალხო სასამართლოში თავისი მისამართის მისაცემად ორი თვის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ევგენია ჩერნოგლაზოვის საქმის გამო, რომელიც უჩივის მას 80 მილიონ მანეთს. თუ არ გამოცხადდება, მის დაბარების უწყება დატოვებული იქნება სასამართლოს სამდივნოში და მისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება, საქმე კი არსებითად გაირჩევა.

715—1—1

ტფილისის აღმასკომი

ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ქ. ბ. [illegible] სეზონი დაიწყება

მხოლოდ 15 ივნისიდან,

ამისათვის აღნიშნულ ვადაზე ადრე კოჯორში გადასვლა და საავარაკოდ დაბინავება შეუძლებელია. ამასთანავე ვაცხადებთ, რომ იმ პირთ, ვინც კოჯორის აგარაკები იქირავა და კოჯორის სამეურნეოდან მიიღო შესაფერი ანგარიში, თუ სამი დღის განმავლობაში ფასს არ გადაიხდიან, აგარაკები გადაეცემათ სხვას.

კრ. 419—2—1

განცხადება

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრ. სადგურის აგების კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ 30 მაისს 1923 წ. დანიშნულია შეჯიბრება მიწის მუშაობის გაცემაზედ სადგურის მთავარ არხში 16 პიკეტიდან 27 პიკეტამდე, დაახლოებით 15.000 კუბ. საჟ.

აღნიშნული სამუშაოს აღების მსურველთ შეუძლიათ შეიტანონ წერილობითი განცხადება მიღებულ ფორმის ბლანკებზე დაწერილი დაბეჭდილი კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 30 მაისის 1923 წ. შეჯიბრებაზე“ განცხადება უნდა იქნეს ჩაშვებული ყუთში არა უგვიანეს 1923 წ. 30 მაისის შუადღისა და ამავე დღეს შესდგება კონვერტების გახსნა.

ფასი უნდა აღინიშნოს ოქროს ფულით. გადახდა ფულისა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ბონებით გადასახდელ კვიტანციის თარიღის კურსით, თანახმად ტფილისის ბირჟის ოფიციალურ კურსისა. განცხადებაზე დართული უნდა იქნეს კვიტანცია „კომზაჰესის“ კასაში 5 პროცენტი ბეს შეტანის შესახებ. საიჯარო ფასიდან ფულის მაგივრად ბედ შეიძლება შემოიტანოს ნოტარიულად დამტკიცებულ გირაოებისა უძრავ ქონებაზე იმავე ღირებულებისა.

იმათ ვინც სამუშაოს არ აიღებს, ბე შეჯიბრების შემდეგ დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ, ბე იმისა ვინც სამუშაოს აიღებს დარჩება „კომზაჰესი“-ს კასაში და თანდათან გადიდდება 10 პროცენტამდი სამუშაოს მთელი ღირებულებისას თვითეულ გადახდიდან 10 პროცენტის დაჭერით—ეს ბე დაუბრუნდება მოიჯარადრეს, მხოლოდ მუშაობის გათავების შემდეგ.

„კომზაჰესი“—უფლებას იტოვებს სამუშაო გადასცეს არა უმცირეს ფასის გამცხადებელისა, ვინაიდან ანგარიშს გაუწევს ფასის გარდა განმცხადებელის სანდობას და წინად გატარებულ მუშაობასაც.

დაწვრილებითი ცნობების და განცხადების ბლანკების გაცნობა და მიღება მსურველთ შეუძლიათ „ზაჰეს“-ის ტეხნიკურ განყოფილებაში (თბილისი, ველიამინოვის ქ. № 3) ყოველდღე 10 საათიდან შუადღემდე.

შენიშვნა: ბეს წინასწარ შეტანიდან შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს მხოლოდ მუშური ან გლეხური არტელები შრომის სახალხო კომისარიატში სათანადო რეგისტრაციაში გატარებული, თუ ისინი განცხადებასთან ერთად წარმოადგენენ სათანადო მანდატებს თავის რწმუნებულის სახელზე, ამ შემთხვევაში ბე შეტანილი იქნება თანდათან 10 პროცენტის დაჭერით თვითეულ გადახდიდან.

კრ. 402 3—3 **კომზაჰესი.**

ს. ს. ს. რესპუბლიკის

მიწად-მოქმედების სახალხო კომ სარიატის ცენტრალურ საწყობში

(ელისაბედის ქუჩა № 164).

იყიდება უცხოეთიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო მანქანების, იარაღების და მრავალი ქიმიურ სალებავების დიდი **პარტია**

ფასები ზომიერია. შეძენა შეუძლია ყველას.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის საწვრილმანო მაღაზიაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 და მუშტაიდში) შეიძლება შეძენა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების და მანქანების ცალკე ნაწილების; საექიმო მასალების, ნატურალური ღვინოების ყოფ. საუფლისწულო მამულებიდან, შინამრეწველობის ნაწარმოებთა და სხვა.

საწვრილმანო მაღაზიაში რუსთაველის პრ. № 24 **იყიდება მანუფაქტურა:** ჩითი, ნარმა, ტილო, თავსახვევები და სხვ. (კრ. 420 3—1

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო

თამბაქოს ტრესტი

პრეის-კურანტი № 18

1923 წ. 22 მაისიდან **ჩერვონცებში** თანახმად ამიერ-კავკ. ს. ხკომსაბჭოს დეკრეტისა ა. წ. 22 მაისის თარიღით № 19.

ნაწარმოების სახელწოდება	1000 ცალის ფასი დაკვეთის დროს.				
	არა ნაკლებ 50 ათასისა ყველა ხარისხების		150 ათასი 1 პროცენტის დაკლებით.		
	ჩ ე რ ვ ო ნ ც ე ბ ი				
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.	
კოლოფებში					1. არა ნაკლებ 150.000 ცალის დაკვეთის დროს დაწესებულია დაკლება 1 პროც. 2. თითეულ ათას ცალ პაპიროსზე სავალდებულოა ერთი გირვანქა მესამე ხარისხის თამბაქოს წალება.
„ინგლისური“ მესამე ქარხნის	16	50	16	33	
„სოვეტსკიე“ პირველი „ „სოლიდნიე“ „ „	13	—	12	87	
„ხან-კეფი“ მეხუთე „ „სოვეტსკიე“ მეორე „	11	—	10	89	
„ეგიპეტსკიე“ „დელიგატესი“ „სოვეტსკიე“ მე-3 დ მე-4 ქარხ. „ირის“ „პრიმა“,	8	—	7	92	
№ 105	7	90	7	82	
პაჩკებში					
„დელიკატესი“ „ეგიპეტსკიე“ „ბუკეტ“	7	70	7	62	
„დარიალ“ „ექსტრა“ „როსკოშ“	5	—	4	95	
№ 5 მესამე ქარხნის „მარს“ მეორე „ „ზვეზდა“ 100 ცალი მე2 ქარხ.	4	25	4	21	
„მარს“ მეოთხე ქარხნის „ზარია“ მეხუთე „	3	80	3	77	

თამბაქო უმაღლესი ხარისხ. „სლონ“	**ბირჟანკა**	
№ 52 საფაროვის „კეფ“-ი და ყირიმის „კომეტა“ და	2 მ. 50 კ.	2 მ. 48 კ.
გადარჩეული „მირ“	2 მ. 15 კ.	2 მ. 13 კ.
ბოზარჯიანცის „სამსონ“	2 მ. —	1 მ. 98 კ.
№ 52—სეილანოვის, № 120 ენფიაჯ., № 108—საფარ., „საერო“ და „შირაქი“	1 მ. 65 კ.	1 მ. 63 კ.
„ნაროდნია“—სეილანოვ., საფაროვ.—„კომეტა“, „საგანგებო“, „სამსუნ“ დ „მირ“	1 მ. 35 კ.	1. მ. 35 კ.
წუმწუმა—„25 ოქტომბრის“ სახელობის ქარხნის—ყუთი	15 მ. —	
პაპიროსის გილზები სხვა და სხვა ზომის—ყუთი (40 კოლოფი)	11 მ. 50 კ.	

კრ. 421 (2—1)

საქართველოს ს. მ. უ. ს. ეკონომიური განყოფილება

ამით სთხოვს ყველა უწყების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სხვა და სხვა მასალებზე ფასების ცნობების სისტემატიურ მიღებაში (საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება საადმინისტრაციო მუშაობის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. გაზეთი „რაბოჩაია პრავდა“ № 54, 1923 წ. 13 მაისი)—შემოიტანონ ეკონომიურ განყოფილებაში ერთი კვირის განმავლობაში საქონლის სიები, ცნობები ფასების შესახებ, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ დაწესებულებისათვის.

კრ. 414 2—2 ეკონომიური განყოფილების თავმჯდომარე: **პრეობრაჟენსკი.**

[illegible]

საქართველოს სახალხო მეურნეობის, უმაღლესი საბჭოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა